# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 30 ნოემბერი 2004 №278 (2299) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ ფიფამ დაასახელა იმ სამი ფეხბურთელის ვინაობა, რომელთაგან ერთს სამი კვირის თავზე, 20 დეკემბერს მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად გამოაცხადებს.

რონალდინიო, ტიერი ანრი ან ანდრეი შევჩენკო — ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელების რჩეული ამ სამეულიდანაა. მსოფლიოში საუკეთესო აქამდე არც ერთი მათგანი არ ყოფილა.

# FIFA WORLD PLAYER 2004

## ფიფამ უკვე იცის, მაგრამ 20 დეკემბერს იტყვის

შევჩენკო: სკუდეტო და მეასე გოლი სერია A-ში, სადაც გოლების გატანა ძნელზე ძნელია



ანრი: შარშან მეორე იყო. წინა სეზონში ინგლისის ჩემპიონი და ბომბარდირი გახდა, თუმც ევროპის ჩემპიონატზე ვერაფერი გააწყო



რონალდინიო: წლეულს მას არაფერი მოუგია, მაგრამ ბურთით კი ნაღდად ჯადოქრობს



# ზურას სიხარულები

## ფრჩხილი და დიდი გული



წინა სეზონში არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსი“ უტიტულოდ დარჩა, ახლა კი უკეთ აქვს საქმე — შოტლანდიური ჩემპიონატის ბოლო ტურში „ჰარტსს“ 3:2 მოუგო და მეორედან პირველ ადგილზე აინაცვლა, „სელტიკს“ ქულით გადაასწრო. შოთა არველაძე ტრავმირებულია და „ჰარტსთან“ არ უთამაშია, ზურაბ ხიზანიშვილმა კი მატჩი სრულად ითამაშა. გარდა ამისა, „რეინჯერსი“ უეფას თასზეც წარმატებით გამოდის, ხოლო შოტლანდიის თასის მეოთხედფინალში გზიდან „სელტიკი“ ჩამოიცილა. მოკლედ, „რეინჯერსს“ წინსვლა აქვს და ხიზანიშვილთან საუბარიც აქედან დავიწყეთ

— „რეინჯერსმა“ სეზონი ცუდად დაიწყო და წინსვლა რითაა განპირობებული?

— „სელტიკს“ თასზე რომ მოვუგეთ, ყველაფერი ასოთხმოცი გრადუსით შემოტრიალდა. იმ მატჩში გადამწყვეტი გოლი შოთამ შეაგდო და შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ გოლმა შემოგვატრიალა. კიდევ ის, რომ ტრავმიანი ფეხბურთელები გამოგვიჯანმრთელდნენ და უკვე გრძელი სკამი გვაქვს. ტრავმიანობის გამო ფეხბურთელებს სხვადასხვა პოზიციებზე გვიწევდა თამაში და ესეც უარყოფითად მოქმედებდა. თანაც „რეინჯერსი“ სახელიანი გუნდია და ყველა ყოველთვის გამარჯვებას ითხოვს — ეს არცთუ პატარა ტვირთია.

— „რეინჯერსთან“ კონტრაქტი მომდევნო სეზონის ბოლოს გიმთავრდება და თავისუფალი აგენტი ხდები — „რეინჯერსს“ უნდა ერჩივნოს, რომ ამ სეზონში გაგასხვისოს...

— სანერვიულო არაფერი მაქვს, ვიცი, რომ „რეინჯერსი“ ჩემით კმაყოფილია და შესაძლოა, კონტრაქტის გაგრძელებაც შემომთავაზონ.

— „რეინჯერსმა“ თუ ახალი კონტრაქტი შემოგთავაზა, დათანხმდები?

— ხელაღებით არ ვიტყოდი უარს. თუ „რეინჯერსი“ ახალ კონტრაქტს შემომთავაზებს, პირობებიც უკეთესი იქნება და თუ სხვა შემოთავაზებაც იქნება, სერიოზულად დავფიქრდები — სკამზე ჯდომა და ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად ბრძოლა სასურველი არ არის.

— გასაგებია, მაგრამ განა მეტი ამბიცია არ გაქვს? არ გინდა, შოტლანდიაზე უკეთეს ჩემპიონატში ითამაშო?

— შეიძლება წავიდე ესპანეთში ან ინგლისში, მაგრამ ისეთ გუნდში, რომელიც ევროტურნირებზე ვერ თამაშობს — ასეთს „რეინჯერსი“ მირჩევნია. მე იმასაც კი ვაქცევ ყურადღებას, თუ რა სტადიონზე თამაშობს ესა თუ ის გუნდი და ასეთი მხოლოდ მე არ ვარ.

— შენს აგენტ ივან ბენეშთან ამ საკითხზე ალბათ ხშირად გისაუბრია — ნუთუ ბენეშს არცერთი შენით დაინტერესებული კლუბი არ უხსენებია?

— ბენეშს ამ წუთსაც ველაპარაკე. მისთვის ხშირად მითქვამს, თუ სად და რა პირობებში მსურს თამაში, მაგრამ ის ისეთია, ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. თუ არის ახალი კლუბის 90 - პროცენტიანი ვარიანტი, მაინც არაფერს მეტყვის. მეც არ ვჩქარობ სხვა გუნდში გადასვლას.

— „რეინჯერსის“ რამდენიმე თამაშის ნახვის საშუალება საქართველოშიც გვქონდა — ისე ჩანს, თითქოს შეტევებში ჩართვას ერიდები...

— ასე არ ვიტყოდი, უბრალოდ, სტანდარტულების დროს წინ „რეინჯერსის“ ის მცველები მიდიან, ჩემზე მაღლები რომ არიან და ეს ასეც უნდა იყოს. ისე, დაცვის ცენტრში უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს, ვიდრე ფლანგზე, მაგრამ თუ გუნდს დასჭირდა და თუ პროფესიონალი ხარ, ყველა პოზიციაზე უნდა ითამაშო. „დანდიში“ სულ ცენტრში ვთამაშობდი და „რეინჯერსში“ დაცვის მარჯვენა ფლანგზე პირველად ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერთან“ ვითამაშე — ასე მეგონა, ფეხბურთს პირველად ვთამაშობდი.

— მარცხენა ფეხის თითი გქონდა დაჩირქებული — დანიის ნაკრებთან და რამდენიმე რეინჯერსული მატჩიც ტკივილით ითამაშე — ეს ფსიქიკაზე არ მოქმედებს?

— მოქმედებს კი არა, პატარა რამეზე ნერვები მეშლებოდა. ძალიან დავიტანჯე, მაგრამ, როგორც იქნა, ფეხი მომირჩა — „ჰარტსთან“ თამაშის წინა დღეს ფრჩხილი ამძვრა და თურმე ყველაფერი ეს ყოფილა — „ჰარტსთან“ არანაირი ტკივილი არ მაწუხებდა და სიხარულისგან ისე ვიყავი, კიდევ ორ ტაიმს ვითამაშებდი.

**დავით თაგართქილაძე**

# გააჩნია, როგორ გამოვიზამთრებთ



## ნერგაძე სულელი არ არის, ჩემპიონობაზე უარი თქვას

ქუთაისის „ტორპედომ“ ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ თბილისში 3:1 მოუგო და ლიდერობა შეინარჩუნა. ამ მოგებაში კი ლომის წილი გია ნერგაძემ დაიდო — 22 წლის ნახევარმცველმა თავით ორი გოლი გაუტანა „ვიტ ჯორჯიას“. მე-17 ტურის მთავარი მატჩის ერთ-ერთ გმირს გუშინ ვესაუბრეთ...

— ძალიან ძნელი თამაში გადავიტანეთ. გაგვიმართლა და პირველი ორი ბურთი კუთხურიდან გავიტანეთ, რამაც საქმე გაგვიიოლა. ვფიქრობ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სამი ქულა ავიღეთ და მიხარია, რომ ისევ ლიდერები ვართ.

— შენი აზრით, უკვე მეორე წუთზე გატანილმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი?

— ასე ვერ ვიტყვი. არა მგონია, სტუმრად ერთი ბურთის გატანა გადამწყვეტი იყოს. უფრო მეორე გოლის შემდეგ ვირწმუნე, რომ „ვიტ ჯორჯიას“ მოვუგებდით.

— „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში ორი გოლი გაიტანე, მანამდე „დილასთანაც“ გამოიჩინე თავი...

— ალბათ უფრო მიმართლებს. საყრდენი ნახევარმცველი ვარ და შეტევაში წასვლა იმდენად არ მომეთხოვება. უფრო სტანდარტული მდგომარეობების დროს ვერთვები ხოლმე და აგერ, გოლებიც გავიტანე.

— „ვიტ ჯორჯიასგან“ მეტს ელოდი?

— ვერ ვიტყვი, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ ცუდად ითამაშა. 0:2-ზე მაგრად შემოგვიტია, ერთი გაგვიტანა კიდეც და პირველ ტაიმში დრო რომ ყოფილიყო, ვინ იცის, რა მოხდებოდა, აშკარად გადავრჩით, მერე კი ჩვენი საქმე ჩვენვე გავაკეთეთ.

— ტორპედოელთაგან დღემდე ყველა თავს იკავებთ და ჩემპიონობაზე არ ლაპარაკობთ...

— მოუმზადებლები კი ვართ, მაგრამ ნელ-ნელა ფორმაში შევდივართ. თამაშებით ვინაზღაურებთ დანაკარგს. ისე, გააჩნია, ზამთარსაც როგორ გამოვიყენებთ. კარგად თუ მოვემზადებით, ჩემპიონობაზე უარს ვინ იტყვის? ყველა გუნდს ვეთამაშეთ და თავადაც დავრწმუნდით, რომ წარმატების მიღწევა შეგვიძლია.

— ყველა გუნდს ვეთამაშეთო, თქვი და ყველაზე მეტად ვისთან გაგიჭირდათ?

— ალბათ მაინც „დინამოსთან“.

— ჩემპიონატის ახალი სისტემა მოგწონს?

— შარშანდელს აშკარად სჯობია. ექვსეულებად დაყოფა უაზრო იყო, გუნდებს შანსს უსპობდა. იქნებ პირველი წრის მერე გავძლიერდე, რატომ არ უნდა მქონდეს საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის შანსი?

— გასაგებია. თასზეც ვთქვათ — მალე „თბილისთან“ ორრაუნდიანი ჯახი გელით...

— რთული მეტოქე გვყავს. „თბილისმა“ არაერთხელ დაამტკიცა, რომ სახიფათო გუნდია. მთავარია, თბილისში არ წავაგოთ და მერე, საპასუხო მატჩში, ჩვენ ვიცით.

**კახა შალამბერიძე**

# ფიფა ალადაშვილს გადახედავს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ ფიფაში კახა ალადაშვილის დისკვალიფიკაციის თაობაზე თბილისის „დინამოს“ სააპელაციო წერილი გააგზავნა. „დინამო“ ფიფას სადისციპლინო კომიტეტს სთხოვს, გადახედოს იმ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც კახა ალადაშვილს ეროვნულ ჩემპიონატში თამაში ექვსი თვით აუკრძალეს. „დინამო“ ფიფას მიმართავს — ფეხბურთელი უეფამაც მკაცრად დასაჯა და ეგებ ალადაშვილს საქართველოს ჩემპიონატში თამაშის უფლება მაინც მისცეთო.

ვწერდით და გეხსომებათ, უკრაინა — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩში არაეთიკური საქციელისთვის უეფამ კახა ალადაშვილს ექვსთვიანი სასჯელი გამოუწერა და მისი ეგიდით ჩატარებულ ყველა თამაშში მონაწილეობა აუკრძალა. შემდეგ უეფამ თავისი გადაწყვეტილება ფიფას აცნობა, რომელმაც ეს საკითხი წინა კვირაში განიხილა და „დინამოს“ შემოუთვალა, ალადაშვილი არც ჩემპიონატში ათამაშოთო.

მოკლედ, ფიფაში აპელაცია გაგზავნილია, პასუხი როდის იქნება, უცნობია. ამასობაში კი „დინამო“ ათენშია და „პანიონიოსთან“ უეფას თასის მატჩისთვის უალადაშვილოდ ემზადება.

**კობა ინასარიძე**

# სიმფეროფონია

**„ზესტაფონმა“** გასულ უქმეებზე ბოლნისში წააგო და სატურნირო მდგომარეობა გაირთულა, მაგრამ ცოტას თუ სჯერა, რომ იმერლები უმაღლესი ლიგიდან დაქვეითდებიან. ფეროელები ტრანსფერებში გაიწაფნენ, ცოტა ხნის წინ ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი ბომბარდირი ზურაბ იონანიძე სიმფეროპოლის „ტავრიადან“ გადმოიყვანეს და მეორე შენაძენმაც არ დააყოვნა. ამ დღეებში საბოლოოდ გადაწყდა, რომ „ზესტაფონმა“ კიდევ ერთი ტავრიელი, ასევე ექს-ქუთაისელი ნახევარმცველი კახა ჩხეტიანი დაიმატა.

შეგახსენებთ, ჩხეტიანმა ორი წელი უნგრულ „დებრეცენშიც“ მოასწრო თამაში, ხოლო „ტავრიაში“ შარშან ზამთარს გადავიდა და ძირითად შემადგენლობაში უპრობლემოდ ჩაჯდა.

როგორც „ზესტაფონის“ პრეს-სამსახურმა გვაცნობა, ჩხეტიანმაც და იონანიძემაც ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს კლუბთან. ჯერჯერობით არ ხმაურდება, მაგრამ იმერლები ზამთრის შესვენებაზე კიდევ ერთი-ორი ფეხბურთელის ვადაბირებას აპირებენ და მათ შორის ყველაზე რეალურად კიდევ ერთი ტავრიელი გია იმედაძე ჩანს.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა — პირველი წრე — 16 — 15 ტური

**ვიტ ჯორჯია 2:1 დინამო 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 15 | 12 | 1 | 2 | 42:20 | 37 |
| ამერი | 15 | 11 | 1 | 3 | 45:7 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 10 | 3 | 2 | 25:8 | 33 |
| სპარტაკი | 15 | 9 | 6 | 0 | 29:15 | 33 |
| კახეთი | 15 | 10 | 1 | 4 | 27:20 | 31 |
| დინამო 2 | 15 | 8 | 1 | 6 | 38:24 | 25 |
| ცხინვალი | 15 | 6 | 3 | 6 | 21:20 | 21 |
| ჩიხურა | 15 | 6 | 2 | 7 | 15:18 | 20 |
| ივერია | 15 | 5 | 5 | 5 | 15:17 | 20 |
| ლოკომოტივი 2 | 15 | 5 | 4 | 6 | 21:22 | 19 |
| გურია | 14 | 5 | 3 | 6 | 14:21 | 18 |
| მილანი-მერანი | 14 | 4 | 1 | 9 | 19:28 | 13 |
| ოლიმპი | 15 | 3 | 3 | 9 | 14:26 | 12 |
| რუსთავი | 15 | 3 | 1 | 11 | 16:31 | 10 |
| საგარეჯო | 15 | 1 | 4 | 10 | 13:39 | 7 |
| მალაროელი | 15 | 0 | 3 | 12 | 7:45 | 3 |

**ინგლისი**

ჩემპიონატი. XXI ტური

როტერჰემი 1:0 ლიდსი

**გერმანია**

II ბუნდესლიგა. XV ტური

კოტბუსი 0:2 ბურგჰაუზენი

**იტალია**

სერია B. XV ტური

პერუჯა 0:0 ვენეცია

სერია C1/A. XII ტური

კრემონეზე 2:2 პრო პატრია

**საფრანგეთი**

II დივიზიონი. XVII ტური

ნანსი 1:0 გენიონი

**პორტუგალია**

სუპერლიგა. XII ტური

სეტუბალი 0:1 პორტუ

**ჩეხეთი**

გამბრინუს ლიგა. XV ტური

სლავია 1:0 ბანიკი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებას გამოთქვამს ფედერაციის აღმასკომის წევრის
გურამ ქარქაშაძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი პირველი წრე

16 17 ტური



ვიტ ჯორჯია 1:3 ტორპედო
თბილისი 3:1 ლოკომოტივი
დილა 1:4 დინამო
სიონი 2:1 ზესტაფონი
ბათუმი 0:0 კოლხეთი

## კამაზია და რა ლამაზია

მაშინ, როცა ეროვნულ სტადიონზე „ტორპედო" „ვიტ ჯორჯიას" თელავდა, სარბენ ბილიკზე ბეტონსარევი „კამაზი" შეეყვანათ. „კამაზი" ბეტონს სწორედ ფეხბურთისთვის ზელავდა, რაც ინდივიდუალური სკამებისთვის დაიტყეპება და გაქვიტკირდება. მშენებლებისთვის ეს დღე ბეტონის დასხმისა იყო, „ტორპედოსთვის" ჩემპიონზე გამარჯვებისა, მალე კი ეროვნულ სტადიონს ათი ათასამდე პლასტმასის სკამი შეემატება.



## ხლოპ და დი-ნა-მო

მიმდინარე სეზონში „დინამომ" ისიც შეძლო, რომ ფანკლუბი ალადგინა. „დინამოს" ფანკლუბი ყველგან თუ არა, თითქმის ყველგან დაჰყვება გუნდს. ფანებმა „დინამოს" გორის სუსხშიც უქომაგეს. განახლებული ფანკლუბი იმითაც გამოირჩევა, რომ ბილწსიტყვაობას სრულიად უგანა, თანამედროვედ ქომაგობს გუნდს — აგრესიას და გინებას „დი-ნა-მო"-ს ყვირილი ჯობია. ისიცაა, რომ გორშიც ისე აღარ იგინებიან, როგორც უწინ, ყოველ შემთხვევაში, „დილა"—„დინამოზე" ასე იყო, თუმც „დინამოს" ერთ ფეხბურთელს მაინც შეაგინა ვიღაც ავყიამ. 31 წლის გორელი გიორგი ბალაშვილი და 18 წლის დინამოელი მიხეილ მახარაძე კი ისე შელაპარაკდნენ, რომ არბიტრმა მერაბ მალალურაძემ მათ „ყვითლები" ჩამოურიგა. სწორედ ამას მოჰყვა მინდორზე „ხლოპუშკის" აფეთქება.

როგორც უნდა იყოს, ფეხბურთი ფანების, გულშემატკივრების გარეშე მკვდარია...



## გენერლური მდივანი
### ზნე აქაური, ზე აქაური



„ვიტ ჯორჯია" — „ტორპედო" 1:3. თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთი რჩება. მასპინძლები წაგებას ველარ გადაურჩებიან. ალბათ ასე ჩათვალა ვეტერინართა გენერალურმა მდივანმა მალხაზ კაკაურიძემაც და ტრიბუნიდან მოედანზე ჩაინაცვლა. აქვე ვთქვათ, რომ ეს უკვე დარღვევაა — კაკაურიძის გვარი მატჩის ოქმში არ წერია და ამდენად მას სათადარიგოთა სკამზე ჯდომის უფლებაც კი არა აქვს.

კაკაურიძემ ჯერ მეოთხე მსაჯთან გადაწყვიტა ურთიერთობის გარკვევა, მერე მატჩის ინსპექტორთან, მოგვიანებით კი, როცა თამაშიც დამთავრდა, არბიტრ ლევან ფანიაშვილს მოედანზე შეუვარდა. მიზეზი? მისი აზრით, „ვიტ ჯორჯია" მსაჯებმა დაჩაგრეს.

ვნებათაღელვა მერეც გაგრძელდა და კაკაურიძის არაერთი მუქარაც გაისმა. ვიტელთ-უფროსი ფანიაშვილს ოთახიდან გამოსვლას და „კაცურად დალაპარაკებას" სთხოვდა. ეს უკვე დარღვევა არ არის, ეს სისულელეა.

ამით ჩვენ მსაჯების დაცვა კი არა, უაზრო ქცევის დაგმობა გვინდა. ცნობისათვის, ლევან ფანიაშვილი მალე გერმანია — შოტლანდიის ამხანაგურ მატჩს განსჯის და თავს დავდებთ, რომ მას იქ კაკაურიძისნაირი საქმის გამრჩევები არ დახვდებიან.



## ნუთისოფლის კადრი

ავლაბრის სტადიონზე ფეხბურთი გახურებულა. მინდორი იქ ახლა საუკეთესოა საქართველოში. მეჩხრად ნავსებ ტრიბუნასთან კი, მინდორის გადაღმა, შეამჩნევთ წარწერას: „დამკრძალავი ბიურო". ჩვენ იმის სულელები არა ვართ, რომ გაცვეთილი პარალელი გავავლოთ, ვითომ ქართული ფეხბურთი ისეთ დღეში იყოს, რომა... უბრალოდ, ასეთია ცხოვრება. სასურველი კი ის არის, რომ ჩვენს კარგ მინდვრებს იმხელა ტრიბუნები სჭირდებოდეთ, ქუჩის გადაღმა ადგილები რომ არ გამოჩნდეს. ეგებ „ბერნაბეუს" ახლოსაც არის ასეთი ბიურო, მაგრამ...

### სიმბოლური ნაკრები

ლევან მელქაძე — დინამო
გია მეგრელაძე — ტორპედო
სანდრო იაშვილი — თბილისი
შოთა ბაბუნაშვილი — ტორპედო
დავით ბოლქვაძე — ტორპედო
გია ნერგაძე — ტორპედო
გიორგი ძუცურუა — დინამო
დავით ოდიკაძე — თბილისი
დავით გამეზარდაშვილი — ტორპედო
გიორგი შაშიაშვილი — დინამო
ზვიად სტურუა — ტორპედო

გუნდი: ტორპედო

მწვრთნელი: ოთარ გაბელია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 17 | 11 | 5 | 1 | 30:9 | 38 |
| დინამო | 17 | 11 | 3 | 3 | 39:19 | 36 |
| თბილისი | 17 | 10 | 3 | 4 | 36:20 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 8 | 4 | 5 | 29:22 | 28 |
| ლოკომოტივი | 17 | 6 | 7 | 4 | 22:15 | 25 |
| ბათუმი | 17 | 6 | 5 | 6 | 22:15 | 23 |
| ზესტაფონი | 17 | 5 | 1 | 11 | 13:35 | 16 |
| კოლხეთი | 17 | 4 | 4 | 9 | 14:23 | 16 |
| სიონი | 17 | 4 | 2 | 11 | 15:39 | 14 |
| დილა | 17 | 2 | 2 | 13 | 12:35 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 12-მეგრელაძე | ტორპედო |
| მელქაძე | დინამო |
| 9-ოდიკაძე | თბილისი |
| 8-ბობოხიძე | ლოკომოტივი |
| მერებაშვილი | ვიტ ჯორჯია |

### მომდევნო ტური

5 დეკემბერი, კვირა

ტორპედო – თბილისი
ლოკომოტივი – დილა
დინამო – ბათუმი
კოლხეთი – სიონი
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია



# ცხოვრება სტილი და თამაში

## გახსოვდეს სიკეთე, გადაიწერე პირჯვარი, ნე ეძებ საკუთარ თავს გაზეთში

ამას ყველა დაეთანხმება — მალხაზ ასათიანი ქართული ფეხბურთის მთავარი იმედია. და არა მხოლოდ იმედი, მან უკვე დაიწყო იმედის გამართლება და სინამდვილედ ქცევა.

შარშანდელი გაზაფხულიდან მოყოლებული, თუკი რაიმე სიხარული ჰქონია სანაკრებო ქომაგს, იმ სიხარულების შემოქმედი სწორედ მალხაზ ასათიანი იყო: რუსეთთან თამაშიდან მოყოლებული და აგერ, დანიასთან საოცარი მატჩით.

ისეთი რაღაცეების თქმა, რომ ოდესღაც თავდამსხმელად მყოფი, მოსკოვში მცველად მოთამაშე, ნაკრებში კი გამთამაშებელი ასათიანი დიდი ფეხბურთელია, თავად მალხაზს არ მოეწონება. არ უყვარს ამგვარი რამეები და იმიტომ. მალხაზ ასათიანს შეუძლია, სამყაროს ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე გახდეს, თუ ბედი მას დასავლეთისკენ წაიყვანს, ხოლო იღბალი არ უმტყუნებს. ამ საოცარ მოთამაშეს იმხელა სიმაღლეზე შეეძლება ასვლა, რომ ჩვენს სიამაყეს მართლა არ ექნება საზღვარი.

მისი თამაში, მისი თამაშია. მისი მანერა მიმზიდველია. მისი ფეხბურთი სწრაფიც არის, ღონიერიც და ლამაზიც და ყველაფერ ამაში საუკეთესო ისაა, რომ რასაც ასათიანი მინდორზე აკეთებს, მხოლოდ მისია.

ასათიანი სწორედ ის შემთხვევაა, როცა ათასი გაჭირვებისა და უკუღმართობის მიუხედავად, ნიჭმა გზა არ დაკარგა. ამისთვის ზეცას თუ უნდა ვუთხრათ მადლობა მათ, ვისაც ასე გვიყვარს ნამდვილი ფეხბურთი.

— ჩემი სათამაშო მანერა მხოლოდ ჩემია და მას „მალხაზ ასათიანი“ ჰქვია. არავის ვბაძავ, ცხოვრებაში არ მიფიქრია, მოდი, ამ ფეხბურთელის მსგავსად ვითამაშებ-მეთქი. სტილი ბავშვობაში ჩამომიყალიბდა და ახლა, ბევრიც რომ ვცადო, სხვანაირად ველარ ვითამაშებ — გვითხრა მალხაზ ასათიანმა, რომელიც ახლა მშობლიურ ქუთაისშია და შვებულებას მონატრებულ ახლობლებთან ერთად ატარებს

**— მოდი, ჩვენი ინტერვიუც ბავშვობით დავიწყოთ. ფეხბურთზე შენი სურვილით მიხვედი თუ მშობლებმა მიგიყვანეს?**

— შვიდი წლის ვიყავი, როცა მშობლებმა შემატყვეს, ფეხბურთის მოთხოვნილება მქონდა და სახლთან ახლოს, ორი ფეხის ნაბიჯზე, საფეხბურთო სკოლა „განთიადში“ მიმიყვანეს.

**— ესე იგი, ზაოდში დაიწყე თამაში?**

— ჰო, ზაოდელი ვარ და ბურთიც პირველად იქ გავაგორე. თუმც „განთიადში“ ცოტა ხანი ვიყავი, მერე „ტორპედოს“ სკოლაში გადავედი, სადაც მწვრთნელად თემურ ნადირაძე დამხვდა. ამ კაცის დიდი მადლობელი ვარ, ფეხბურთელად სწორედ მან გამზარდა. ყურადღებას არ მაკლებდა, კედებით დაწყებული, სათამაშო ფორმით დამთავრებული, არაფერს მიჭირვებდა. თემურ ნადირაძესთან დღემდე ვალში ვარ.

**— რამდენ საათს ვარჯიშობდი?**

— 24 საათი ვვარჯიშობდი და ვთამაშობდი. ვარჯიშის მერე ეზოს ბიჭებთან ერთად უბანში ვთამაშობდი. უბურთოდ ვერ ვძლებდი.

**— „ასათაც“ ბავშვობისდროინდელი მეტსახელია?**

— არა, მაშინ „ასკა“ ვიყავი.

**— „ტორპედოს“ ბავშვთა გუნდიდან უფროსებში როდის გადახვედი?**

— როცა ასაკი მომივიდა, 18 წლისა „ტორპედოს“ მთავარ გუნდში მოვხვდი. მაშინ მწვრთნელი ცხონებული დავით ყიფიანი იყო. ახალმისული ვფიქრობდი, „ტორპედოში“ ვერ ვითამაშებ-მეთქი და გადაწყვეტილიც კი მქონდა სამტრედიის „იბერიაში“ წასვლა. დავით ყიფიანმა არ დამანება, მას ჩემი სჯეროდა და შემადგენლობას ნელ-ნელა გამაშინაურა. თავიდან შეცვლებზე მათამაშებდა, მერე ძირითად შემადგენლობაშიც მომცა ადგილი.

**— „ტორპედოს“ მერე კი პირდაპირ რუსეთის ჩემპიონი „ლოკომოტივი“ იყო. თუმც იქამდე თბილისის „დინამოც“ გეპატიჟებოდა. არ გერჩივნა, რუსეთში წასვლამდე ჯერ „დინამოში“ გეთამაშა?**

— ივო შუშაკის დროს მეპატიჟებოდა „დინამო“. საქმე თითქმის გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ რა მოხდა, რატომ ვერ გადავედი მაშინ „დინამოში“, არ ვიცი.

**— თუ არ ვცდები, შოტლანდიურ „რეინჯერსში“ გადასვლის ვარიანტიც გქონდა...**

— „რეინჯერსის“ ვარიანტი რეალური არ იყო და მოსკოვის „ლოკომოტივში წავედი.

**— წახვედი და ერთი სეზონი, ფაქტობრივად, უთამაშებელი დარჩი...**

— „ლოკომოტივში“ რომ გადავედი, ამით კარიერაში ნაბიჯი წინ კი წავდგი, მაგრამ ვერ ვთამაშობდი და მოსკოვში წასვლაც სანანებელი გამიხდა. ერთი წელი უკან დაბრუნებაზე ვფიქრობდი.

**— მაშინ ისევ „დინამო“ არ გეპატიჟებოდა?**

— კი, „დინამოში“ ჩემ განათხოვრებაზე იყო ლაპარაკი და თავადაც მონდომებული ვიყავი, რომ ეს საქმე გამოსულიყო. უკვე წამოსვლას რომ ვაპირებდი, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ მთხოვა, გუნდი ყირიმში შეკრებაზე მიდის და შენც წადი, იქნებ რამე შეიცვალოსო. გავყევი გუნდს, ყირიმში „ლოკომოტივის“ ძირითადში მოხვედრის ბოლო შანსი მქონდა.

**— როგორც მერე გამოჩნდა, ბოლო შანსი არ გქონია და იური სიომინს თურმე ძირითადისთვის შეგულებული ჰყავდი...**

— არ ვიცი, ყირიმში ჩვეულებრივ, შეკრებაზე წავედი.

**— მაგრამ, უჩვეულო იყო, რომ შეკრების შემდეგ გამთამაშებელი ასათიანი ლიბერო ასათიანად მოგვევლინა. რა მოხდა, რა გითხრა მწვრთნელმა, რატომ გადაწყვიტა, რომ მცველად გეთამაშა?**

— ერთ-ერთი ვარჯიშისას სიომინმა გუნდი ორად გაყო და ერთმანეთში გვათამაშა. ჩემდა გასაკვირად, მწვრთნელმა ცენტრალური მცველის ფუნქცია დამაკისრა. რა მექნა, ვითამაშე. ვარჯიშის შემდეგ კი მოდის სიომინი და მეუბნება — ყოჩაღ! ეს „მონაკოსთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩამდე ბოლო ვარჯიში იყო. სამ დღეში კი „მონაკოსთან“ ძირითად შემადგენლობაში სწორედ ცენტრალურ მცველად ვითამაშე. მცველად ჩემი დაყენება სიომინს, ალბათ, გუნდიდან იგნაშევიჩის წასვლამ გადააწყვეტინა.

**— იგნაშევიჩი რომ არ წასულიყო?**

— მაშინ არ ვიცი, რა მოხდებოდა.

**— „ლოკომოტივში“ ყოფნას ახლა აღარ ნანობ?**

— არა, ახლა პირიქით, კმაყოფილი ვარ.

**— რუსეთის ჩემპიონატი მაღალ დონედ მიგაჩნია?**

— ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ დაძაბული, რთული მატჩები რომ არის, ფაქტია. რუსული პრემიერლიგა, რა თქმა უნდა, ინგლისის, იტალიის, გერმანიისა თუ ესპანეთის ლიგებს ჩამორჩება, მაგრამ არც რუსეთშია დაბალი დონე. ამ სეზონში, მაგალითად, ჩემპიონობისთვის ერთბაშად ხუთი გუნდი იბრძოდა და ბრძოლა ბოლო წუტურამდე იყო. რუსეთში ისეთი თამაშები არ არის, როცა შეგიძლია, ნახევარი ძალით მოიგო. ყველა მატჩს მაქსიმალური ენერგია უნდა დაახარჯო.

**— მალხაზ, „ლოკომოტივში“ მცველად თამაშობ, ნაკრებში გამთამაშებლად, საყრდენი ნახევარმცველიც ყოფილხარ და ბავშვობაში თურმე ცენტრფორვარდიც... იქნებ ახლა საბოლოოდ გვითხრა, მოედანზე შენი ადგილი რომელია, თავად სად გირჩევნია თამაში?**

— ჩემი ადგილი იქაა, სადაც მწვრთნელი მათამაშებს. თუმც, ჩემი აზრით, უფრო ეფექტური მაშინ ვარ, როცა გამთამაშებლობა მაქვს დავალებული.

**— ესე იგი, გამთამაშებელი ხარ...**

— ასე გამოდის. ისე, მართლაც, ერთი მეკარედ არ მითამაშია. თუმც ეს რომც მთხოვონ, უარს ვიტყვი.

**— თავით თამაშზე საგანგებოდ ვარჯიშობ?**

— არა და, არც ვფიქრობ, რომ თავით კარგად ვთამაშობ.

**— ნაკრებში ორი გადამწყვეტი გოლი თავით კი გაიტანე...**

— გამიმართლა. თანაც ჩაწოდებები იყო ისეთი, ბურთის თავის დახვედრებაღა სჭირდებოდა.

**— კლუბში მცველად, ნაკრებში გამთამაშებლად... გადაწყობა არ გიჭირს?**

— ადრე მიჭირდა, მაგრამ ბოლო დროს ამას მივეჩვიე და პრობლემა აღარ მაქვს.

**— რაიმე გამორჩეული ფინტი თუ გაქვს, ისეთი, რის გაკეთებასაც ყოველ წუთს ცდილობ?**

— არა, არაფერი. გააჩნია სიტუაციას, როდის რას ვაკეთებ. ამორჩეული არაფერი მაქვს.

**— ბევრ ფეხბურთელს თამაშისას თავისებური ცრურწმენა აქვს. შენ?**

— მე პირჯვრისა მჯერა. მატჩის დაწყებამდე ყოველთვის პირჯვარს ვიწერ.

**— მოსკოვში თავისუფალ დროს რითი ერთობი?**

— მეტწილად დროს ქართველებთან ერთად ვატარებ, აშვეთია ჩემი თანაგუნდელია, ხიზანეიშვილიც მოსკოვში თამაშობს, ლომაია და აბრამიძეც ახლოს არიან. გასართობი მოსკოვში ბევრია, ხან რას ვაკეთებთ, ხან რას, გააჩნია, განწყობის შესაბამისად.

**— ხალხი გცნობს?**

— თუ ქომაგია კი, თორემ მოსკოვი იმხელა ქალაქია...

**— ჟურნალისტებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— ნორმალური, თბილი...

**— იმის თქმა მსურდა, რომ შენი ინტერვიუებით მკითხველი განებივრებული არ არის.**

— ეგ მართალია. მაინცდამაინც არ მსიამოვნებს, როცა გაზეთს გადავფურცლავ და ყოველდღე ჩემზე წერია, ჩემი ფოტოებია დაბეჭდილი. რა საჭიროა?

**— პოპულარული ხარ და...**

— ჰო, რა ვიცი...

**ქობა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



„კიევოსთან“ მატჩში მილანელი კახა კალაძე შეტევებში ჩართვით გამოირჩა

# კობიაშვილი — ცალკე

## ფრაი ისევ დააჭენდეჭოხეს

**ეს წელი ლევან კობიაშვილისაა** და არა მგონია, რამეს ვაჭარბებდე. გუშინწინ „კობიმ“ მესამე ბუნდესლიგური გოლი გაიტანა მეცამეტე მატჩში და „შალკეს“ მოგებას საძირკველი ჩაუყარა. გელზენკირხენელები დასაწყისშივე აგებდნენ ბილეფელდის „არმინიასთან“ და ბევრმა იფიქრა, სამ ფრონტზე (ბუნდესლიგა, გერმანიის თასი, უეფას თასი) მებრძოლი გუნდი გადაიღალაო, მაგრამ... „შალკემ“ მაინც იძალა. კობიაშვილმა მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა, მერე კი ბრაზილიელმა აილტონმა შეაგდო გადამწყვეტი — 2:1, ასე მოიგო „შალკემ“ და... ორიოდ თვის წინ გასავარდნთა ზონაში მოტრიალე გუნდი ახლა მეორე ადგილზეა. „ხუმარები“ ოდენ „ბაიერნს“ ჩამორჩებიან.

**მკვდრეთით აღდგა გლაზგოს „რეინჯერსიც“.** „ჩაფრებმა“ დაძაბულ ბრძოლაში 3:2 მოუგეს „ჰართსს“ და ამ სეზონში პირველად პირველ ადგილზე აინაცვლეს. საამსაქმოდ „რეინჯერსს“ „გულებთან“ მოგება ვერ შეეშველებოდა, მოძულე „სელტიკს“ „დანდისთან“ ფრე რომ არ ეთამაშა. „ჰართსთან“ კი ალექს მაკლიშმა მხოლოდ ერთი ქართველი დააყენა — *ზურაბ ხიზანიშვილმა* შეუცვლელად ითამაშა და გაფრთხილებას გამოჰკრა ხელი. ტრავმირებული *შოთა არველაძე* კი განაცხადშიც არ იყო.

ახლა „რეინჯერსი“ ერთი ქულით უსწრებს „სელტიკს“, რაც ცოტა ხნის წინ წარმოუდგენელი კი არა, უფრო შეუძლებელი ჩანდა.

**„მილანის“ ძირითადში კახა კალაძე გამოჩნდა.** ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა „კიევოს“ წინააღმდეგ, „როსონერიმ“ კი 1:0 მოიგო და ლიდერ „იუვენტუსს“ მიუახლოვდა. მილანელთა დაცვა მთლად დალაგებული იყოო, ვერ ვიტყვით, მაგრამ კალაძე რამდენჯერმე შეტევაში გამოირჩა. მისი პასებით ერნან კრესპოს შეეძლო გატანა, ერთხელ კი კახას ძლიერი დარტყმული მეკარემ კუთხურზე გადააგდო.

**კვიპროსის ჩემპიონატში ორი ქართული გოლი გავიდა.** *გიორგი ანჩაბაძემ* „არისთან“ მოაგებინა თავის გუნდს, *გიორგი ქორიძემ* კი აეკ-თან გაიტანა პირველი ოლიმპიაკოსური გოლი.

ახლა კვიპროსზე მოთამაშე ჩვენებურთაგან ერთადერთი *გიორგი გაბიდაურია*, გოლი რომ არ დაუჭაშნიკებია, თუმც მისმა „ანართოსისმა“ 1:0 დაამარცხა „აპოლონი“ და ლიდერს ქულებით გაუთანაბრდა. ფამაგუსტელთა გუნდში *თემურ ქეცბაიამ, გიორგი ქინქლაძემ* და *კლიმენტი წიტაიშვილმა* ითამაშეს.

**ბოლოს ერთი „სამძიმარიც“.** „ფრაიბურგმა“ მორიგი სირცხვილი ჭამა და მე-17 ადგილზე დაკონსერვდა. *ალექსანდრე იაშვილისა* და *ლევან ცქიტიშვილის* გუნდს ამჯერად „კაიზერსლაუტერნმა“ მოუთავა საქმე. 0:3 — ასე წააგო „ფრაიბურგმა“ და უკვე აღარავის სჯერა, რომ ეს გუნდი ბუნდესლიგაში დარჩება.

**ბახა ზალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | კიევო 1:0 | 90 | | | | |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | არმინია 2:1 | 90 | 1 გოლი | 13 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ლაუტერნი 0:3 | 90 | | 13 | 2 | 17 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ლაუტერნი 0:3 | 90 | | 11 | 1 | 17 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | დრეზდენი 4:1 | 0 | | 8 | 1 | 6 |
| დავით სირაძე | ტრირი | შ | კიოლნი 0:0 | 11 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთ. | 6 | 0 | 11 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | ჰართსი 3:2 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 2 | 1 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | ჰართსი 3:2 | 90 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 10 | 0 | 1 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | რაპიდი 1:4 | 69 | შეცვალეს | 18 | 4 | 9 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ვაშაკიძე | არისი | შ | პანათინაიკოსი 1:1 | 0 | | 3 | 0 | 15 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | პაოკ 0:2 | 45 | შეცვალეს | 8 | 0 | 6 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | შ | მეტალისტი 3:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | მ. ზაპოროჟიე 1:0 | 89 | შეცვალეს | 14 | 3 | 3 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | დინამო 0:3 | 0 | | 11 | 1 | 6 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | მ. დონეცკი 0:1 | 0 | | 7 | 3 | 13 |
| ლაშა ჭელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | მ. დონეცკი 0:1 | 0 | | 1 | 0 | 13 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | მერდინსფორი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 0 | 5 |
| **პოლონეთი. თასი** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | ს | ვიძევი 3:2 | 90 | | | | |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | შ | ლოკომოტივი 0:0 | 90 | | 15 | 4 | 1 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | შ | ლევსკი 0:0 | 2 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 1 | 9 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | შ | ლევსკი 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 8 | 0 | 9 |
| ლევან მიქაძე | ბელასიცა | ს | ნაფტექსი 0:3 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | აპოლონი 1:0 | 90 | | 8 | 1 | 2 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | ს | აპოლონი 1:0 | 54 | შეცვალეს | 7 | 1 | 2 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | აპოლონი 1:0 | 62 | შეცვალეს | 9 | 2 | 2 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | აპოლონი 1:0 | 0 | | 2 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | ანართოსისი | ს | აპოლონი 1:0 | 0 | | 5 | 1 | 2 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | არისი 2:1 | 89 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 9 | 3 | 9 |
| გიორგი ანჩაბაძე | პარალიმნი | შ | არისი 2:1 | 83 | 1 გოლი, შეცვალეს | 9 | 2 | 9 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | შ | აეკ 2:1 | 69 | 1 გოლი, შეცვალეს | 5 | 1 | 3 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*




ლევან კობიაშვილმა და მისმა „შალკემ“ „არმინიას“ სამი ქულა გამოგლიჯეს

# ეს რა მოიქნიე, ნილ მელორ?!

*აბა, რაღა უნდა ექნა არსენ ვენგერს კვირა საღამოს? 22 წლის ლივერპულელმა ზორბა ყმაწვილმა ნილ მელორმა თამაშის დამთავრებამდე 6 წამით ადრე, ჯადო-დარტყმით გამოგლიჯა გამარჯვება „მეთოფეებს"*



**„არსენალი"** 5 ქულით ჩამორჩა ლიდერ „ჩელსის", რომელსაც იქეთ შაბათს მასპინძლობს, ოღონდაც კაპიტან პატრიკ ვიეირას გარეშე, ფრანგმა კვირას სეზონში მეხუთე ყვითელი მიიღო და თამაში უნდა გამოტოვოს.

„ასეთი მარცხი ძნელი ჩასაყლაპია — თქვა ვენგერმა — მათი პირველი და ჩვენი საპასუხო გოლები მშვენიერი იყო. მელორის გოლი კი ჩვენი დაცვის ბრალი. როცა გავათანაბრეთ, მოგებაზე ავმუშავდით. ინტენსივობა დაგვაკლდა".

ბოლო 6 პრემიერლიგურ თამაშში „არსენალმა" მხოლოდ ერთის მოგება მოახერხა და 13 მატჩია, კარი მშრალად ვერ შეუნახავს.

„ლივერპულ"—„არსენალის" გმირი კი მერსისაიდელთა სამარქაფო გუნდის მთავარმეგოლე მელორი გამოდგა, რომელიც ძირითადში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ „ლივერპულს" ყველა თავდამსხმელი ტრავმირებული ჰყავს.

აი, რას ამბობს მელორი თავის პირველ პრემიერლიგურ გოლზე: „ბურთი ჩემს წინ დაეცა და დავარტყი, კოპის მხარეს კარში (კოპი „ენფილდის" ყველაზე განთქმული ტრიბუნაა). ისე დავარტყი, როგორც ჩვეულებრივ ვურტყამ ხოლმე, რეზერვებში ბევრი გამიტანია ასეთი. საქმე ეს იყო, რომ ახლა ბოლო წამზე „არსენალს" გავუტანე".

კაპიტანმა სტივი ჯერარდმა კი ახალბედა შეაქო: „წლებია, ნილი ასეთ გოლზე ოცნებობდა და გაიტანა კიდეც. ეს მოგება ჩვენი აღმასვლის დასაწყისია".

გამარჯვებულთა მენეჯერი რაფა ბენიტესიც ძალიან კმაყოფილი იყო, მელორმა პირველად ითამაშა ასეთი ძლიერი მცველების წინააღმდეგ და ყველაფერი კარგად გამოუვიდაო.

საკვირაო თამაშში კი გაძევებას გადაურჩა პატრიკ ვიეირა. „მეთოფეთა" კაპიტანს ყვითელი ბარათი უკვე ჰქონდა, როცა მსახიობურად წაიქცა დიტმარ ჰამანთან პაექრობისას. ვიერა თავის შეცდომას მიხვდა და მსწრაფლ მოუბოდიშა მსაჯ ალან ვაილის, რომელმაც დიდსულოვნად გაუგო და მეორე ყვითლით არ მიაბრძანა მოედნიდან.

**ირაკლი გამყრელიძე**



ფოტოზეც ჩანს, დიტმარ ჰამანი წასაქცევად გამზადებულ პატრიკ ვიეირას არც შეხებია

# 2+2=2

## მანჩინიმ გარისკა და ფრე მოიგო



„იუვენტუსი" ორი ბურთით იგებდა „სან სიროზე", მაგრამ ამხელა უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო. შედეგად, „ინტერმა" 13 შეხვედრაში მეთერთმეტე ფრე ითამაშა, მისი თანაქალაქელი „მილანი" კი ლიდერს ოთხ ქულამდე მიუახლოვდა. ეს იმ იშვიათ შემთხვევათაგანი გახლდათ, როცა „მილანის" ფანობა გულით ქომაგობდა „ინტერს"






„ინტერს" ქულა კრისტიან ვიერიმ და ადრიანომ გადაურჩინეს

„თამაში ჩვენი იყო, მაგრამ „ინტერის" ორმა გოლმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა — თქვა ნამატჩევს „იუვეს" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ — ვიერის გოლამდე მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი ჩანდა და ეს გუნდი „იუვენტუსი" იყო.

0:2-ზე რობერტო მანჩინიმ ორ თავდამსხმელს, ადრიანოს და ობაფემი მარტინს, ორიც — ვიერი და რეკობა მიამატა და შედეგსაც გამორჩა.

„მატჩის ბედი თამაშში ვიერის ჩაბმამ გადაწყვიტა. ადრიანოს და მარტინსსაც ხელ-ფეხი გაეხსნათ. პირველი საპასუხო გოლიც თავიდან ბოლომდე ვიერის დამსახურებაა" — დასძინა კაპელომ.

მანჩინიმ კი თქვა: „როცა 0:2-ს აგებ, ნებისმიერი რისკი გამართლებულია. ჩვენც გაგვიმართლა. როცა ერთი ბურთი გავქვითეთ, საბოლოოდ ვირწმუნე, რომ აღარ წავაგებდით."

კრისტიან ვიერი: „ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, მით უმეტეს, როცა მოედანზე შევედი, იმ დროისთვის უმძიმეს მდგომარეობაში ვიყავით. ის, რაც ბოლო ოც წუთში გავაკეთეთ, დიდებული იყო. ზოგადად, ოთხი ფორვარდით თამაში მიზანშეწონილი არ არის, მაგრამ ესეც სიტუაციაზეა დამოკიდებული. მომავალში, კიდევ თუ გაგვიჭირდა, გვეცოდინება, ტაქტიკა როგორ უნდა შევცვალოთ."

„ინტერმა" თამაში გადაარჩინა, მაგრამ არის ასეთი მოსაზრებაც: „იუვენტუსის" მეორე გოლისას, როცა მასპინძელთა მეკარემ ფრანჩესკო ტოლდომ მარსელო ზალაიეტა წააქცია და ზლატან იბრაჰიმოვიჩმა პენალტი გაიტანა, ტოლდო გაძევებასაც იმსახურებდა, ჰოდა, ვნახავდით, კაცნაკლული „ინტერი" როგორ გადაარჩენდა თამაშსო. ისე, მსაჯს ტოლდო რომ გაეძევებინა, „ინტერს" ერთი შეცვლის უფლება დარჩებოდა და ორ ფორვარდს ველარ დაამატებდა.

ტოლდოს გაძევება-არგაძევების თაობაზე კაპელომ ლაპარაკი იუარა: „მსაჯის გადაწყვეტილების კომენტირება ჩემი საქმე არ არის და ამაზე ლაპარაკს ყოველთვის ვერიდები."

მანჩინი კი უფრო სიტყვაუხვი იყო: „ტოლდოს გაძევება მაშინ იქნებოდა სწორი, ბოლო კაცი რომ ყოფილიყო. მაგრამ ტოლდოს უკან ზე მარია იდგა და ამდენად ტოლდოს ჯარიმა უკანასკნელი იმედისად ვერ ჩაითვლება. იმ ეპიზოდში მსაჯი სწორად მოიქცა მეკარე რომ არ გაგვიძევა, თუმც ერთი ეპიზოდიც იყო, როცა ლილიან ტურამი ადრიანოს ეუხეშა, მსაჯმა კი „იუვენტუსის" კარში აშკარა პენალტი არ დანიშნა."

**ირაკლი ნინიძე**

# გალიანის მხოლოდ შვიდი დაუთვალეს



**გუშინ** იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა და ადრიანო გალიანი დამარცხდა. გალიანის აქამდე ლიგა ებარა, მაგრამ ბლომად მოძჩივანი გამოუჩნდა. მას მიკერძოებაში ადანაშაულებენ. განსაკუთრებით ტურინის „იუვენტუსის" და ფლორენციის „ფიორენტინა" ემდურებოდნენ, აქაოდა, გალიანი „მილანის" ვიცეპრეზიდენტიცაა და გადაწყვეტილების მიღებისას არაობიექტურიაო.

ადრიანო გალიანის ხელმეორედ ასარჩევად 28 ხმა სჭირდებოდა, მაგრამ მხოლოდ შვიდი მიიღო. მასზე მეტი ხმები მოაგროვეს: „ლაციოს" პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ, „ფიორენტინას" პატრონმა დიეგო დელა ვალემ, „კალიარის" მფლობელმა მასიმო ჩელინომ და „პალერმოს" ბოსმა მაურიციო სამპარინიმ. თორმეტმა ამომრჩეველმა თავი შეიკავა და ახალი პრეზიდენტის გვარ-სახელი განმეორებითი არჩევნების შედეგად გახდება ცნობილი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არ მოგწონს? წადი!
## ზემანს ლიპი დააჯახეს

*ამ რამდენიმე დღის წინ იტალიურმა სასამართლომ 22-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა ტურინის „იუვენტუსის“ ექიმს რიკარდო აგრიკოლას, რომელსაც დაუმტკიცდა ბრალდება 1994-98 წლებში „ბებერი ქალბატონის“ ფეხბურთელებისთვის აკრძალული პრეპარატების მიცემის თაობაზე. ამაზე ჩვენ უკვე ვწერდით და იმასაც შევახსენებთ, რომ გვარიანად გაწელილ პროცესზე სხვადასხვა დროს „იუვეს“ ყველა ახლანდელი და ყოფილი ფეხბურთელი დაიკითხა ზინედინ ზიდანის ჩათვლით*

სასამართლომ განაჩენი გამოიტანა და საქმე დაიხურა, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ ლაპარაკი კიდევ დიდხანს არ შეწყდება.

კვირას სატელევიზიო გადაცემა „სტადიო სპრინტში“ ალაპარაკეს „ლეჩეს“ ახლანდელი მწვრთნელი ზდენეკ ზემანი, რომელმაც თქვა, სასამართლომ მხოლოდ ექიმზე გადატეხა ჯოხი, არადა, უამრავი ხალხია ამ საქმეში გასვრილი: „ვინ დაიჯერებს, რომ ექიმი დამოუკიდებლად, ყველასგან მალულად მოქმედებდა. ცხადია, რომ მას ავალებდნენ და აკრძალულ პრეპარატებს აწვდიდნენ“.

გავიხსენოთ, რომ სწორედ ზდენეკ ზემანი იყო ის კაცი, ვისმა წლების წინანდელმა განცხადებამაც ააგორა ამხელა ტალღა და სწორედ მისი ის განცხადება დაედო საფუძვლად გამოძიებას. მაშინ ზემანი „რომას“ მწვრთნელი იყო და თქვა, როგორ უნდა შევეჭიდოთ „იუვენტუსს“, როცა მისი ფეხბურთელები დოპინგმილებულები გადიან ყოველი მატჩის სათამაშოდ. სხვათა შორის, გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდში „იუვენტუსმა“ სამჯერ მოიგო სკუდეტო და ზედ ჩემპიონთა თასიც მიაყოლა.

„სტადიო სპრინტის“ ჟურნალისტებმა ეშმაკობას მიმართეს და გადაცემა ორმაგად საინტერესო რომ გამოსულიყო, მეზობელ სტუდიაში „იუვენტუსის“ მაშინდელი მწვრთნელი მარჩელო ლიპი დასვეს და, ფაქტობრივად, ზემანთან დებატებში ჩააბეს.

ზემანის პირველ კომენტარზე ლიპიმ თქვა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, მისი დამოკიდებულება „იუვენტუსის“ მიმართ არ იცვლება და ის ძველებურად პატივს სცემს ყველას. „დოპინგი არაფერ შუაშია — თქვა ლიპიმ — ერთადერთი მიზეზი, რითაც იმ პერიოდში და მერეც უამრავი ჯილდო მოვიგეთ, ის არის, რომ „იუვენტუსი“ მართლაც დიადი გუნდია“.

ამის პასუხად ზემანმა გაიხსენა, როგორ აღიარა თავად ლიპიმ 1999 წელს, ფეხბურთელებს კრეატინს ვასმევდითო და მხრები აიჩეჩა. მე მხოლოდ ფაქტებს მოგახსენებთ, ლიპი კი ფაქტებს როგორც აწყობს, ისეთ ინტერპრეტაციას აძლევსო.





ამაზე ლიპიმ სხვა მხრიდან შეუტია: როგორც ჩანს, ზემანს წმინდანად უნდა თავი მოგვაჩვენოს, არადა, რამდენ ფეხბურთელს უთქვამს ჩემთვის, ზემანთან მუშაობის პერიოდში ეგეც გვასმევდა კრეატინსო.

განვმარტოთ: კრეატინი აკრძალული პრეპარატი არ არის, თუმცა ბოლო წლებში მისი მიღება შეიზღუდა. კონტრბრალდებაზე კი ზემანმა ასე უპასუხა: „როცა „ლაციოში“ ვმუშაობდი, ჩვენს ფეხბურთელებს დიახაც ვასმევდით კრეატინს, მაგრამ აქ მთავარი დოზებია. ჩვენ ფეხბურთელებს 3 მილიგრამს ვაძლევდით და ისიც მცირე ხნის განმავლობაში, „იუვენტუსში“ კი დოზა ოც მილიგრამამდე ადიოდა“.

ამის მერე ლიპის, როგორც ჩანს, კამათის გაგრძელება მობეზრდა: „მე ერთ რამეში დარწმუნებული ვარ — არ უნდა აკრიტიკო სისტემა, რომლის ნაწილიც თავად ხარ. თუ ზემანს ეს არ მოსწონს, შეუძლია აქაურობას გაეცალოს“.

შეგახსენებთ, რომ ზდენეკ ზემანი ჩეხია.

ბოლო სიტყვა კი ზემანმა თქვა: „წასვლას არ ვაპირებ. დავრჩები და დანაშაულებრივ სისტემასთან ბრძოლას შიგნიდან გავაგრძელებ“.

**ირაკლი ნინიძე**

# ერთადერთი გმირი
## როცა გიტევს ტრიო, უნდა დაიხიო

**„რომამ“ ზედიზედ ოთხი წაგების მერე ოთხი გოლით ჯავრი „სიენაზე“ იყარა. ეს გუშინწინდელი ამბავია და ისიც მოგეხსენებათ, რომ ამ ოთხი გოლიდან ორი ვინჩენცო მონტელამ გაიტანა, ორიც — ფრანჩესკო ტოტიმ. თუმცა მატჩის უდავო გმირი არც ერთი იყო და არც მეორე. გმირი ანტონიო კასანო გახლდათ და ქვემოთ მასზე ვთქვათ**

„კასანოს გვერდით თამაში უდიდესი სიამოვნებაა — შეაქო თანაგუნდელი მონტელამ — სიმართლე გითხრათ, ვერ ვიხსენებ, ვინმეს ერთ მატჩში ოთხი საგოლე პასი გაეკეთებინოს. კასანომ კი ეს შეძლო. ხოლო მთლიანობაში მატჩზე თუ ვილაპარაკებთ, ამ სეზონში ასე კარგად ჯერ არ გვითამაშია. ჩვენი დაცვაც შეუდარებელი იყო“.

თუ გახსოვთ, კიევში საჩემპიონთალიგო მატჩისას ლუიჯი დელ ნერიმ ექსპერიმენტი ჩაატარა და „რომა“ ახლებურად, 4-3-3 სისტემით ათამაშა. ის მატჩი რომაელებმა მოყინულ მოედანზე, გეხსომებათ, წააგეს, მაგრამ მწვრთნელს გული არ გატეხია და ახლა ასე ლაპარაკობს: „ჩვენ ახალ გუნდს ვაშენებთ და ამ თვალსაზრისით პირველი ნაბიჯი კიევში გადავდგით. იმ მატჩის მოგებას არც ვიმსახურებდით, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ ახალმა სისტემამ გაამართლა“.



ლუიჯი დელ ნერი

კასანოს მივუბრუნდეთ. ისიც გეხსომებათ, რომ დელ ნერიმ რამდენიმე კვირის წინ კასანო ჭირვეულობისთვის სახლში გაუშვა და ერთ ხანს აღარ ათამაშებდა. ჩანს, ფეხბურთელისთვის ეს კარგი მაგალითი იყო, თუმცა დელ ნერი ამ თემაზე ლაპარაკს ერიდება და უფრო მის დადებით თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას: „კასანოს სრულად უნიკალური თვისებები აქვს, რომელთა სრულად გამოსაყენებლად ორი რამაა საჭირო — სივრცე უნდა გაუხსნა და თავისუფლება მისცე. ამის მერე მან იცის, რა გააკეთოს“.

ბოლოს კი „სიენას“ მწვრთნელის, ჯიჯი სიმონის აზრსაც გავეცნოთ: „როცა ტოტი, კასანო და მონტელა ერთად გიტევენ, მათი შეჩერება თითქმის წარმოუდგენელია“.

**ირაკლი ნინიძე**



კასანომ და ტოტიმ როლები გაცვალეს: „რომას“ კაპიტანმა კასანოს პასებით გაიტანა

# სამი ურწმუნო
## რემონი, რონალდო და კასილიასი ბარსელონას წინააღმდეგ

ესპანურ ფეხბურთში ჩახედული ათი გულშემატკივრიდან ათივე თუ არა, ცხრა იტყვის, რომ ამ სეზონში „ბარსელონას“ ჩემპიონობას წყალი არ გაუვა. უახლოეს მდევართან, „რეალთან“ 7-ქულიანი სხვაობა ამის თამამად თქმის საფუძველს იძლევა. თუმცა ვფიქრობთ, რომ იმ ერთი კაცის არგუმენტებიც საინტერესო უნდა იყოს, ვინც „ბარსას“ პირველობას ეჭვის თვალით უყურებს. მაგალითად, მარიანო გარსია რემონი, „რეალის“ მწვრთნელი.

— წინა კვირის დასაწყისში, „კამპ ნოუზე“ წაგების მერე, ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ბრძოლა არ დამთავრებულა და „რეალს“ რეალურად შეუძლია ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა — თქვა რემონმა.

კიდევ ერთი ურწმუნო, „ბარსელონას“ ჩემპიონობისა რომ არ სჯერა, რონალდო გახლავთ: „ჩვენმა გულშემატკივრებმა ცოტაც უნდა მოითმინონ. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვაუმჯობესებთ თამაშს და ვფიქრობ, ქულებს ისე უაზროდ აღარ გავანიავებთ, როგორც სეზონის დასაწყისში დაგვემართა.“

უფრო შორს წავიდა იკერ კასილიასი: „ჩვენთვის მთავარია, ამ სეზონში პრიმერადივიზიონი, სამეფო თასი და ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ. ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვანია.“ შევნიშნოთ, რომ „რეალის“ მეკარეს აშკარად ჰქონია იუმორის გრძნობა.

**კოტე კეკელია**





მარიანო გარსია რემონს და რონალდოს „რეალის“ ჩემპიონობისა ჯერ კიდევ სჯერათ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გამოსათხოვარი ვახშამი

## ფერნანდო რედონდო: წავედი, რათა დავბრუნდე

*ფერნანდო რედონდო ფეხბურთს ემშვიდობება. ამ საქმეს თავს ვანებებ — უთხრა არგენტინელმა ესპანურ „მარკას" — ვაპირებ ეს წელი მადრიდში მშვიდად გავატარო. მოთამაშის კარიერას იმიტომ ვასრულებ, რომ ოჯახთან უფრო მეტი დრო გავატარო. თუმც მომავალი სეზონიდან ალბათ მაინც ფეხბურთში ვიმუშავებ*

რედონდომ პრესას ეს ყველაფერი 27 ნოემბრის საღამოს გაუმხილა, როდესაც მადრიდის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში უახლოეს მეგობრებთან, კიკე ვულფთან („რეალის" ოდინდელი მოთამაშე და ამჟამად ESPN-ს კორესპონდენტი), დანიელ ვან შტეინთან და რაულ რივეროსთან ერთად ვახშმობდა.

ფერნანდომ, რომელსაც გასულ სეზონში იტალიურ „მილანთან" კონტრაქტი დაუმთავრდა, აღიარა, რომ ბევრი კლუბიდან შეეხმიანენ, მათ შორის ესპანური პრიმერას საფეხბურთო აგენტებიც: „ბევრი წინადადება მივიღე. უცხოეთში წასვლა არ მინდოდა, რადგან მადრიდში დამკვიდრება მსურს და ოჯახს ახალ-ახალ ადგილებზე გადასვლით ვერ გავაწვალებ. ესპანურ გუნდებს კი მადრიდის „რეალის" გამო ვუთხარი უარი. „სანტიაგო ბერნაბეუზე" გატარებულ წლებს ვერასოდეს დავივიწყებ, ამიტომ ნამდვილად ვერ წარმომიდგენია, „რეალის" გარდა სხვა ესპანური კლუბის მაისური მეცვას".

ჯერჯერობით რედონდო თავის სამომავლო კარიერაზე დაზუსტებით არ ლაპარაკობს: „ახლა დავისვენებ, რათა შემდეგ ისევ ფეხბურთში დავბრუნდე, ამჟამად ჩემი მომავალი საქმიანობის შესახებ ვერაფერს გეტყვით, ამას ალბათ უახლოეს ხანში მოვიფიქრებ".

გავიხსენოთ, რომ რედონდო „არხენტინოს ხუნიორსიდან" „ტენერიფეში" 1991 წელს გადაიყვანეს. შემდეგ „რეალში" ჩაირიცხა (1995), სადაც სამეფო გუნდთან ერთად ჩემპიონთა თასი ორჯერ, 1998 და 2000 წლებში მოიგო. ევროპის საკლუბო გათამაშების ყველაზე პრესტიჟული ჯილდო არგენტინელმა 2003 წელს იტალიურ „მილანთან" ერთადაც მოიპოვა.

**ლადო ხომერიკი**



# ბალერონი

## რიო ფერდინანდი: იცეკვეთ და ითამაშებთ



*ვინ იქნებოდა რიო ფერდინანდი, ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყო? ალბათ... ბალერონი, რადგან სიყმაწვილეში ისევე კარგად ცეკვავდა, როგორც ამჟამად ფეხბურთს თამაშობს. ფერდინანდის ნიჭით მოხიბლულმა მასწავლებელმა ბალეტის უმაღლეს სკოლაში ხუთწლიანი კურსის გავლა შესთავაზა, მაგრამ ნიჭიერმა მოსწავლემ ბურთის გორება არჩია*

„ფეხბურთის სიყვარულმა გადამძალა, თორემ ახლა სცენაზე ვიდგებოდი — თქვა „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა — ცეკვა ძალიან მიყვარდა. ადრევე შეძენილი უნარ-ჩვევები მოედანზე აშკარად წამადგა, რადგან მოძრაობისას წონასწორობას იოლად ვინარჩუნებ".

შარშან შემოდგომაზე დოპინგ-ტესტზე გამოუცხადებლობის გამო რიო ფერდინანდს რვათვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს და ფეხბურთს ორი თვის წინ, 23 სექტემბერსღა დაუბრუნდა. მან უკვე მოასწრო ძველებურად ათამაშება და სერ ალექს ფერგიუსონის მადლობაც დაიმსახურა. ფერგიუსონისთვის საიუბილეო, „ლიონთან" მოგებული მატჩის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა მცველი გამორჩეულად შეაქო: „ფერდინანდის დაბურნებით ჩვენი გუნდის დაცვა აშკრად გაძლიერდა. „ლიონთან" შეხვედრაში ლომივით იბრძოლა. არც კი ვიცი, უმისოდ ამ სეზონში რა გვეშველებოდა".

ფერდინანდს ზოგჯერ ფენომენსაც უწოდებენ და ხშირად ბობი მურს ადარებენ, რომლის კაპიტნობითაც ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ასეთი ძლიერი, სწრაფი და თან ტექნიკური მცველი მურის შემდეგ არ გვყოლიაო. „ვესტ ჰემში" თამაშისას ეპიზოდურად გაიბრწყინებდა ხოლმე, 2002 წლის მუნდიალზე კი რიო ფერდინანდმა ყველა მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა და სახელიც იქ გაითქვა.

„ვფიქრობ, გულშემატკივრებმა შეამჩნიეს, რომ კორეა-იაპონიაში თავი არ დავზოგე და როგორც ფეხბურთელი, გავიზარდე, თუმც არავინ იცის, რამდენი ოფლი დავღვარე ამის მისაღწევად. იმ წელს საკლუბო თუ სანაკრებო შეხვედრებში ჩემი თამაშით კმაყოფილი დავრჩი".

ალმავლობას დაღმასვლა მოჰყვა, შემდეგ რვათვიანი უქმობა და ახლა კვლავ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ რიო ფერდინანდი ბოლოჟამს აგორებულ რასიზმის პრობლემას შეუწუხებია. ორი კვირის წინ ესპანეთთან მადრიდში გამართულ ამხანაგური მატჩისას შავკანიანი ინგლისელები შეურაცხყვეს. „ამაზრზენია — თქვა მანჩესტერელმა — ასეთი რამ არასოდეს მენახა. შეძრწუნებული ვარ და საწყენია, რომ დამნაშავეები მაშინვე არ დასაჯეს. როცა საქმე დოპინგზე ან ჩხუბზე მიდგება, უმალ რეაგირებენ, მე კი ამ პრობლემებსა და რასიზმს შორის განსხვავებას ვერ ვხედავ".

რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედს", რიო ფერდინანდი ასე ბჭობს: „ვიცი, რომ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ვიმყოფები, რადგან რუუდ ვან ნისტელროისთან ერთ გუნდში თამაში განსაკუთრებული რამაა. ვან ნისტელროი ხომ მსოფლიოში საუკეთესო ფორვარდია".

**ვაჟა ხუციშვილი**

# მაურინიუსთვის პორტუ სიცილიაა



**ჟოზე მაურინიუს** ადვოკატმა პორტუს საქალაქო სასამართლოს თხოვნით მიმართა, ჩემი კლიენტის უსაფრთხოებისთვის დამატებით დაცვა გამოგვიყავითო.

ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურის მატჩში „პორტუ" „ჩელსის" მასპინძლობს და ჟოზე მაურინიუს იქაური ფანებისა ეშინია. „არისტოკრატთა" მწვრთნელმა განაცხადა, რომ ამ გუნდების პირველი შეხვედრის წინ ლონდონში მას ორი პორტუგალიელი ავქომაგი თავს დაესხა: „თქვენ თუ სიცილიაში წასვლას აპირებთ, ოთხი-ხუთი პირადი მცველი მაინც დაგჭირდებათ. პორტუში ჩასვლაც ჩემთვის დაახლოებით ასეთივე სახიფათოა".

გავიხსენოთ, რომ ჟოზე მაურინიუს ჯერ კიდევ „მონაკო" — „პორტუს" ფინალური მატჩი წინ დაურეკეს და მოკვლით დაემუქრნენ, ამიტომაც ფრთხილობს პორტუგალიელი მწვრთნელი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პასტორმა მორიენტესს მონაკო შეახსენა



„მონაკოს" თავმჯდომარე მიშელ პასტორი ფერნანდო მორიენტესის ცოდვით დაიწვა. წინა ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირი „ელ მორო" გასულ ზაფხულს სამთავროდან „სამეფო კლუბში" დაბრუნდა, მაგრამ იქ მაიკლ ოუენი მიიყვანეს და მორიენტესი ძირითად შემადგენლობაში კვლავ ვერ ხვდება. ესპანელ ფეხბურთელს დაუჩივლია, შარშან საფრანგეთში საქმეები კარგად წამივიდა და იქ სიამოვნებით დავბრუნდებოდიო. სამთავროელებს ეს ამბავი შეუტყვიათ და „მონაკოს" თავმჯდომარე მიშელ პასტორიც მორიენტესს ლაჟვარდოვან სანაპიროზე ეპატიჟება. „გარშემო ყველა „ელ მოროს" დაბრუნებაზე საუბრობს, მე კი ფეხბურთელთან ჯერ არ მილაპარაკია. ის აქაურობას შეეჩვია და მახსოვს, როგორი გულდათუთქული წავიდა მადრიდში. ჩვენი კლუბის ფანებს სურთ მისი დაბრუნება და კარგი იქნება, ეს საქმე თუ გაიჩარხა. გავიგე, რომ გული აქეთ მოუწევს, ჩვენც არ ვართ წინაამდეგნი."

**ვაჟა ხუციშვილი**

# შევჩენკოს პოლიტიკური სურათი

## ვის აირჩევს ოქროს ბურთი?

*ვიქტორ იანუკოვიჩის მხარდამჭერი ვარო, წამოსცდა ანდრეი შევჩენკოს და ამბავიც ატყდა. „მილანი“ — „შახტარის“ მატჩის წინ მასპინძელმა ტიფოზებმა ტრიბუნაზე პლაკატი გამოფინეს: „იუშჩენკო ჩვენი პრეზიდენტია!“ ფანებს კი სთხოვეს, პლაკატი გაეტანათ და ფეხბურთისთვის პოლიტიკა ჩამოეშორებინათ, მაგრამ ამაოდ. თამაშის დროს მეორე წარწერაც გაჩნდა: „შევჩენკო, გრცხვენოდეს. შენი არჩევანით შენივე უკრაინელი ქომაგები აატირე“*



— „უკრაინელი ხალხის არჩევანზე გავლენას ვერ მოვახდენ — განცხადა შეშფოთებულმა შევჩენკომ — ყოველთვის ვცილობდი, რომ პოლიტიკაში არ ჩავრეულიყავი, ახლაც არ ვაპირებ. ჩემი საქმე ფეხბურთია, სამშობლოსთვის და ეროვნული გუნდისთვის თამაში. უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით ვადევნებ თვალს. იტალიაში ვცხოვრობ, მაგრამ ჩემთვის სულერთი არ არის, რა ხდება უკრაინაში, რადგან იქ ბევრი ნათესავი და ნაცნობ-მეგობარი მყავს. არასოდეს გამიყვია გულშემატკივრები პოლიტიკური არჩევანის მიხედვით. მივმართავ ყველა უკრაინელს, ამ რთულ ვითარებაში გამოიჩინონ კეთილგონიერება და აჩვენონ მსოფლიოს, რომ ჩვენ ცივილიზებული ხალხი ვართ“.

„ოქროს ბურთის“ ერთ-ერთი მთავარი კანდიდატისთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ „ფრანს ფუტბოლის“ ჯილდო სწორედ მას ერგება: „არც კი ვიცი, რა ვთქვა. ამ სეზონში ურიგოდ არ ვთამაშობ, მაგრამ ძლიერი კონკურენტები მყავს და გამარჯვება იოლი არ იქნება. ყველას თანაბარი შანსი აქვს: თუ მოვიგებ „ოქროს ბურთს“ უკრაინას ვუძღვნი, რათა ჩემი წარმატებით იამაყოს“.

„ელ მუნდო დეპორტივოს“ ინფორმაციით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჯილდო სწორედ ანდრეი შევჩენკოს ერგება, რომელსაც „კუდზე აზის“ რონალდინიო, ხოლო მეორე ბარსელონელი, პორტუგალიელი დეკო სოუზა შესაძლაო, სამეულშიც ვერ მოხვდეს.

თავად დეკოს უთქვამს, „ოქროს ბურთი“ მე მეკუთვნისო და თავისებურად ასაბუთებს: „დიდი ფეხბურთელები გადამწყვეტ მომენტში ბრწყინავენ, ჩემი კარგი თამაშის წყალობით კი გუნდს არაერთი მატჩი მოუგია, ამიტომ ვფიქრობ, რომ „ოქროს ბურთი“ დავიმსახურე“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბედმა შოლს თავშრი აძგერა

**ის-ის იყო** ძველებურად აჩაუქდა და აპარპაშდა მიუნხენის „ბაიერნის“ 34 წლის ნახევარმცველი მეჰმეთ შოლი, რომ მუხთალმა ბედმა მას მორიგი კვანტი დაუდო. გასულ შაბათს „მაინცის“ 4:2 დამარცხებისას ამაგდარმა ვეტერანმა მარჯვენა ყვრიმალის ძვალი გაიტეხა, იმავე თვალის ფსკერი დაიზიანა და ფეხბურთს თვეზე მეტი ხნით გამოეთიშა.

ტრავმა შოლმა მატჩის 24-ე წუთზე, მაინცელ მცველ კრამნისთან შეჯახებისას მიიღო. მართალია, სახე იმ მომენტში მაგრად ეტკინა, მაგრამ გუნდის ექიმმა მყისიერი დიაგნოზი ვერ დაუსვა და მანაც თამაშის გაგრძელება გადაწყვიტა, ათი წუთის მერე კი გოლის შეგდებაც შეძლო — 2:0. გამოცვლამან შესვენებაზეც იუარა, როცა ფელიქს მაგათმა ჰკითხა, რამე თუ გაწუხებს, დაისვენეო. შოლმა მთელი მეორე ტაიმიც მოედანზე დაჰყო და 88-ე წუთზე მიხაელ ბალაკს გაათოხითერთებინა კიდეც.

თუმცა ნამატჩევს ტკივილი უკვე გაუსაძლისი გამხდარა — უეცრად სახის მთელი ნახევარი ისე გამიქვავდა, ვეღარაფერს ვგრძნობდიო, იგონებს შოლი. ის უმალვე კლინიკაში გადაიყვანეს და ტრავმის სერიოზულობის ამბავიც სწორედ იქ დადგინდა. როგორც სახელიანი სპორტული ექიმი ბერნდ კაბელკა ამბობს, ეს ტრავმა ისეთი ძნელი ამოსაცნობია, რომ „ბაიერნის“ ექიმს მაინცდამაინც არ უნდა ესაყვედურონსო, ოღონდ იქვე დასძენს, რომ კიდევ ერთი დარტყმაც და ფეხბურთელს შეიძლება მხედველობაც დაეკარგა.

საბედნიეროდ, შოლი თვალის დაკარგვასაც გადაურჩა და, როგორც უკანასკნელი ინფორმაციით ირკვევა, არც ოპერაციის გადატანა ემუქრება. ექიმებმა მას სათანადო სარეაბილიტაციო პროცედურებთან ერთად სრული სიმშვიდე და გარინდება ურჩიეს.

**ლევან ძელაურაძე**



მეჰმეთ შოლი დაბრმავებას გადარჩა



### ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „მანჩესტერი“ მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველ ოუენ ჰარგრივსით დაინტერესდა. „წითელმა ეშმაკების“ თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი გერმანული კლუბის დირექტორ ული ჰიონესთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. თავად ფეხბურთელს არაერთხელ უთქვამს, ინგლისში, განსაკუთრებით კი „მანჩესტერში“ თამაში მინდაო. თუ მხარეები შეთანხმდნენ, სავარაუდო ტრანსფერი იანვარშივე განხორციელდება.

**პორტუგალიური** ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელი ნუნუ კოელიუ შესაძლაო, ლონდონის „ჩელსიში“ აღმოჩნდეს. 17 წლის ნახევარმცველმა „არისტოკრატთა“ თავკაცის ჟოზე მაურინიუს ყურადღება მიიპყრო. აღსანიშნავია, რომ კოელიუს ასევე „ბენფიკა“ და „პორტუც“ აკვირდებიან.

**ინგლისის** ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ მცველ სოლ კემპბელს ჯერჯერობით კლუბთან კონტრაქტი არ გაუხანგრძლივებია. ამიტომაცაა, „მეთოფეთა“ მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი შიშობს, რომ გამოცდილი ფეხბურთელის გარეშე დარჩება და მოლაპარაკებების დაჩქარებას ითხოვს. თუმცა თავად კემპბელი საკმაოდ მშვიდად არის. „მოლაპარაკება სწორი მიმართულებით მიდის. აქ ბედნიერი ვარ და ყველაფერი მაკმაყოფილებს. გუნდში მართლაც ზღაპრული ატმოსფეროა — ჩინებული ფეხბურთელები, მწვრთნელი, და, რაც მთავარია, გულშემატკივრები. მე მიყვარს „არსენალი“ და არსად წასვლას არ ვაპირებ“ — თქვა მან.

**თურქული** „ბეშიქთაშის“ ფორვარდი იონ კარეუს „სტიაუასთან“ უეფას თასის მატჩისას სერიოზული დაშავდა. ექიმების თქმით, ფეხბურთელი სულ მცირე, სამი კვირა ვერ ითამაშებს. შესაბამისად, იგი თურქეთის ჩემპიონატის სამ და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე დარჩენილ ორ შეხვედრას გამოტოვებს. სტამბოლური კლუბის უფროსობას იმედი აქვს, რომ კარეუ 19 დეკემბერს „სებათთან“ მატჩისთვის მაინც დაუბრუნდება მოედანს.

**ინგლისური** „ლივერპულის“ დაშავებული ფორვარდი ჯიბრილ სისე ბოროტი ხუმრობის გამო კინაღამ პოლიციაში მოხვდა. ფეხბურთელმა და მისმა მეგობარმა წაიხულიგნეს. სისემ „ფრედი კრიუგერის“ ნიღაბი მოირგო, ხოლო მისმა მეგობარმა კინოფილმ „კივილის“ პერსონაჟის ფორმა ჩაიცვა. ასე გამოწყობილები შევიდნენ ისინი სუპერმარკეტში, ერთ-ერთ გამყიდველს შეეშინდა და პოლიციას გამოუძახა. თუმცა საბოლოოდ ყველაფერი გაირკვა და სისე და მისი მეგობარი გაუშვეს.

**ინგლისური** „ბოლტონის“ ფინელი გოლკიპერი იუსი იასკელაინენი კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ჩქარობს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 29 წლის სკანდინავით „მანჩესტერია“ დაინტერესებული. „იუსი ჯერჯერობით არ აპირებს ახალი კონტრაქტის გაფორმებას. მას რამდენიმე პუნქტი არ აკმაყოფილებს. მოლაპარაკება გრძელდება და ყველანაირად შევეცდებით მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარის დაკარგვა ჩვენს გეგმებში არ შედის“ — განაცხადა „ბოლტონის“ წარმომადგენელმა პიტერ ჰარისონმა.

**ბრაზილიურ** „სან კაეტანოს“, რომელიც ჩემპიონატში ლიდერობს, შესაძლოა, 24 ქულა ჩამოაჭრან, დაახლოებით ერთი თვის წინ ამ გუნდის ფეხბურთელი სერჟინიო მოედანზე გულის შეტევით გარდაიცვალა. კლუბის პრეზიდენტ ნაირო ფერეირო დე სოუზასა და ექიმ პაულუ ფორტესის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამომძიებლის ვარაუდით, ორივემ იცოდა, რომ სერჟინიო გულის უკმარისობას უჩიოდა და მაინც ათამაშეს. პრეზიდენტს და ექიმს დანაშაული თუ დაუმტკიცდათ, ოცწლიანი პატიმრობა ელით, ხოლო „სან კაეტანო“ 24 ქულას და ჩემპიონობის შანსს დაკარგავს. ეჭვმიტანილები ბრალდებას უარყოფენ.

**გერმანულმა** „კიოლნმა“ ევროპის ჩემპიონი ვასილის ცარტასი შეიძინა, რომელიც სეზონის ბოლომდე მეორე ბუნდესლიგის გუნდში ითამაშებს. „მოხარული ვარ, რომ ცარტასმა „კიოლნი“ არჩია“ — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა ვოლფგან ოვერატმა. ვასილის ცარტასი რამდენიმე თვის წინ ათენის „აეკს“ ფინანსური პრობლემების გამო გაეყარა და უკლუბოდ იყო. მას საბერძნეთის ნაკრების მაისურა 68-ჯერ მოურგია და უკვე მომდევნო ტურში „ერფურტთან“ მატჩში თამაშის უფლება აქვს.

**იტალიური** „ლეჩეს“ ბულგარელმა ფორვარდმა ვალერი ბოჟინოვმა განაცხადა, რომ 2005 წლის იანვარში შესაძლოა კლუბი გამოიცვალოს, საამსეზონო ჩემპიონატში ბულგარელმა 13 მატჩში რვა გოლი მიითვალა და უკვე დაიმსახურა „ბარსელონასა“ და „ჩელსის“ ყურადღება. ლონდონელებმა „ლეჩეს“ ფორვარდის სანაცვლოდ რვა მილიონი გირვანქაც კი შესთავაზეს.

# ბებეტო: ფეხბურთელი ბრაზილიაში მყავს, სახლი ლა კორუნიაში

*სახელგანთქმულმა ბრაზილიელმა ბებეტომ ლა კორუნიის „დეპორტივოში" ოთხი ჯადოსნური სეზონი (1992-96) გაატარა და მთელი ამ ხნის განმავლობაში იქაურ გულშემატკივართა კერპი იყო. ორიოდ დღის წინ ბებეტო ესპანურმა „მარკამ" რიო დე ჟანეიროში მოინახულა. ყოფილი ვარსკვლავი ესპანურ პრიმერა-დივიზიონსა და განსაკუთრებით „დეპორტივოს" ახლაც ყურადღებით აკვირდება. „მარკასთან" მასლაათისას ბრაზილიელს თან ათი წლის ვაჟი, მათეუსიც ახლდა, რომელიც, ბებეტოს მეგობრების თქმით, ბურთით მამის მსგავს სასწაულებს სჩადის...*



**— საინტერესოა, 40 წლის ბებეტო თანამედროვე ფეხბურთს როგორ შეაფასებს...**

— ვფიქრობ, რომ დღეს ფეხბურთმა ტექნიკურობის მხრივ ბევრი რამ დაკარგა. ჩვენს დროს მარადონა, პლატინი და კიდევ უამრავი ვარსკვლავი თამაშობდა, ახლა კი ასეთი ფეხბურთელები თითზე ჩამოსათვლელია.

იმას, რასაც ახლა ვუყურებ, 10-15 წლის წინანდელი ფეხბურთი ნამდვილად სჯობს: დღეს ტექნიკაზე უფრო მეტი ყურადღება ფიზიკურ მომზადებას ეთმობა. მწვრთნელები ფეხბურთელებს ხშირად ეუბნებიან — ამ მოთამაშეს გვერდიდან არ მოსცილდე, გასაქანი არ მისცე. რა თქმა უნდა, მჭიდრო მეურვეობა მაშინაც არსებობდა, როცა მე ვთამაშობდი, მაგრამ ფეხბურთს ამით სილამაზე არ მოჰკლებია. ესპანეთში მცველები ხშირად უხეშად მეთამაშებოდნენ, უნდოდათ, გავბრაზებულიყავი, თუმცა პროვოკაციას არასოდეს ავყოლივარ.

**— განსაკუთრებით რომელი მოთამაშის აგრესიულობას გაიხსენებდით?**

— მეტოქესთან უხეშობა და მისი გაკილვა ფერნანდო რედონდოს სჩვეოდა. ვერ ვხვდებოდი, ამას რატომ აკეთებდა, ის ხომ შესანიშნავი ფეხბურთელი იყო. მაურო სილვას მაიმუნი შეარქვა და სხვა ბევრი სისულელეც ჩაუდენია. ერთხელ დამემუქრა, ფეხს მოგტეხო, მე კი ვუპასუხე, რომ წყნარად ეთამაშა და ხმა აღარ ამოეღო.

**— ახლა საფეხბურთო აგენტი ხართ. ახალგაზრდებიდან რომელ მოთამაშეებს გამოარჩევდით?**

— თითქმის ყოველთვის ვხვდები, ესა თუ ის ბავშვი დიდი ფეხბურთელი გამოვა თუ არა, მაგრამ ხანდახან მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი ამბებიც ხდება, რომლებსაც ბიჭების სამომავლო კარიერა დაღუპვამდე მიჰყავს. ძალიან არ მინდა, მსგავსი რამ ჩემ შვილს დაემართოს. მას სადღეისოდ ვარსკვლავის მონაცემები აქვს და, დარწმუნებული ვარ, მოედნის მარცხენა ფლანგზე ჩინებულად თამაშს მოახერხებს.

**— „დეპორტივოზე" ვისაუბროთ. გალისიურ პერიოდს როგორ გაიხსენებთ?**

— ლა კორუნია ჯადოსნური ადგილია. რამდენჯერაც უნდა ჩავიდე გალისიაში, ყოველთვის საზეიმო განწყობაა. „დეპორში" ჩემი მეგობრები — მაურო სილვა, ჯუკიჩი, კლაუდიო დავტოვე, ერთი დიდი ოჯახივით ვიყავით. „რიასორის" მახლობლად სახლი ახლაც მაქვს და, გულწრფელად გეტყვით, ბევრს ვფიქრობ, აქ, რიოში დავრჩე თუ საცხოვრებლად ისევ ესპანეთს მივაკითხო. ბრაზილიაში დამნაშავეობის მაღალი დონე ძალიან შემაშფოთებელია. ჩემი ოჯახის მომავალი ევროპაში გაცილებით უსაფრთხო იქნება.

**— თანამედროვე „დეპორზე" რას გვეტყვით?**

— ბრიწყინვალე შემადგენლობა ჰყავს. ასეთ „დეპორში" სეზონში 40 გოლს შევაგდებდი. ვალერონი ნამდვილი ვარსკვლავია. თუმც გუნდს ახლა არ ულხინს. ჩემი აზრით, ირურეტა დაცვას გადაჭარბებულ ყურადღებას აქცევს, არადა, „დეპორტივო" ყოველთვის შემტევი სტილით გამოირჩეოდა.

**— კლუბის ისტორიაში საკუთარ თავს რა ადგილს მოუძებნიდით?**

— ტრაბახში არ ჩამომართვათ და „დეპორტივოს" პროგრესში დიდი წვლილი შევიტანე. ჩემი თუ არ გჯერათ, ლაკორუნიელ გულშემატკივრებს ჰკითხეთ და ისინიც იგივეს გეტყვიან. მიუხედავად იმისა, რომ გალისიიდან წამოსვლის მერე ერთი წელი კიდევ ვითამაშე, „დეპორში" ჩემი ბოლო მატჩი ფეხბურთთან გამომშვიდობების ტოლფასი იყო. არასოდეს ისე არ მიტირია, როგორც იმ დღეს — „ბარსელონასთან" 2:0-ს ვაგებდით და ანგარიში ჩემი გოლებით გავათანაბრეთ...

**— პრეზიდენტ ლენდოიროს ახალი „სუპერდეპორის" შესაქმნელად რას ურჩევდით?**

— მაურო სილვამ, დონატომ და მე ბრაზილიელებს საფეხბურთო კარები გავუღეთ და ისინიც ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესოებად იქცნენ. ჩვენთან ფეხბურთის სპექტაკლები გარანტირებულია, ამიტომაც ვართ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც დღემდე მსოფლიოს ჩემპიონობა ხუთჯერ მოუპოვებია. ლენდოიროს მართლაც უნდა ვესაუბრო, ვეტყვი, რომ „დეპორისთვის" ახლაც შემიძლია სარგებლობის მოტანა. თუ საქმეები კარგად აეწყო, დეკემბერში „რიასორზე" რამდენიმე ახალგაზრდა ბრაზილიელს ჩავიყვან.

**— დღევანდელი „დეპორტივოს" კრიზისს რითი ხსნით?**

— ლენდოირომ მითხრა, რომ ევროპაში ტრანსფერებს თან დიდი სირთულეები ახლავს. არის ეკონომიკური პრობლემებიც. ამის გამო გალისიელებმა ახალი ფეხბურთელები ვერ შეიძინეს, ხოლო ფეხბურთში რაიმეს მისაღწევად მუდმივად ახალ-ახალი ტრანსფერებია საჭირო.

**— ალბათ მომავალში „დეპორის" მწვრთნელობასაც გეგმავთ...**

— გულახდილად გეტყვით, მწვრთნელობაზე არც ვფიქრობ. წარმოიდგინეთ, ისევ გუნდი, ისევ გამუდმებული მოგზაურობა, თანაც უზარმაზარი პასუხისმგებლობა. ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ახლა კლუბებისთვის ჭაბუკი ფეხბურთელების მოძებნით ვარ დაკავებული, სხვა არაფერი.

**— თავის დროზე, როდესაც „ვალენსიას" პირველობას ეცილებოდით, ჯუკიჩმა თერთმეტმეტრიანი გააცუდა. რამდენჯერ ინანა ბებეტომ, რომ პენალტი თავად არ დაარტყა?**

— დონატო და ჯუკიჩი პენალტების ოსტატები იყვნენ. სერბს ვარჯიშებზე ერთი 11-მეტრიანიც არ გაუცუდებია. იმ დღეს ჯუკიჩს ვუთხარი, რომ პენალტის შესრულება მეც შემეძლო, თუმცა მაშინ მუხლის ტრავმა მაწუხებდა. საბოლოოდ ბურთთან მაინც ჯუკიჩი მივიდა და... არა, არ ვნანობ, სერბის უარის შემთხვევაში ხომ წესით, დონატოს უნდა დაერტყა.

## არგენტინა

### აპერტურა. XVII ტური

ინდეპენდიენტე — ესტუდიანტესი 2:2; სან ლორენსო — ალმაგრო 1:1; როსარიო — ინსტიტუტო 0:0; კოლონი — ბანფილდი 1:1; ლანუსი — რასინგი 2:3; ოლიმპო — კილმესი 4:2; ხიმნასია — არსენალი 0:3; ბოკა ხუნიორსი — ოლდ ბოიზი 1:3; ურაკანი — არგ. ხუნიორსი 3:1;ველესი — რივერ პლეიტი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლდ ბოიზი | 17 | 9 | 6 | 2 | 20:9 | 33 |
| ესტუდიანტესი | 17 | 7 | 9 | 1 | 21:10 | 30 |
| ველესი | 17 | 9 | 3 | 5 | 18:15 | 30 |
| რივერ პლეიტი | 17 | 8 | 5 | 4 | 26:19 | 29 |
| როსარიო | 17 | 7 | 6 | 4 | 17:12 | 27 |
| ბანფილდი | 17 | 6 | 8 | 3 | 24:16 | 26 |
| ლანუსი | 17 | 6 | 8 | 3 | 23:21 | 26 |
| სან ლორენსო | 17 | 6 | 6 | 5 | 22:19 | 24 |
| კოლონი | 17 | 6 | 6 | 5 | 21:18 | 24 |
| ხიმნასია | 17 | 6 | 6 | 5 | 16:21 | 24 |
| რასინგი | 17 | 7 | 2 | 8 | 18:18 | 23 |
| კილმესი | 17 | 6 | 5 | 6 | 14:17 | 23 |
| ბოკა ხუნიორსი | 17 | 6 | 4 | 7 | 20:15 | 22 |
| არსენალი | 17 | 4 | 8 | 5 | 14:14 | 20 |
| ალმაგრო | 17 | 4 | 8 | 5 | 13:16 | 20 |
| ინდეპენდიენტე | 17 | 5 | 5 | 7 | 20:24 | 20 |
| არგ. ხუნიორსი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:17 | 16 |
| ოლიმპო | 17 | 3 | 4 | 10 | 18:28 | 13 |
| ინსტიტუტო | 17 | 2 | 7 | 8 | 13:26 | 13 |
| ურაკანი | 17 | 2 | 4 | 11 | 17:32 | 10 |

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა. XIV ტური

დნიპრო — არსენალი 1:0; მეტალურგი (დ) — მეტალურგი (ზ) 1:0; ილიჩევეცი — კრივბასი 2:0; დინამო — მეტალისტი 3:0; ვორსკლა — ბორისფენი 1:1; ჩერნომორეცი — ობოლონი 3:1; ვოლინი — შახტარი და ტავრია — ზაკარპატია გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 11 | 2 | 1 | 31:7 | 35 |
| შახტარი | 13 | 11 | 0 | 2 | 24:6 | 33 |
| მეტალურგი (დ) | 14 | 10 | 2 | 2 | 23:13 | 32 |
| ვოლინი | 13 | 7 | 3 | 3 | 16:12 | 24 |
| ილიჩევეცი | 14 | 5 | 5 | 4 | 23:18 | 20 |
| ჩერნომორეცი | 14 | 6 | 2 | 6 | 14:12 | 20 |
| დნიპრო | 14 | 5 | 5 | 4 | 17:18 | 20 |
| მეტალისტი | 14 | 6 | 2 | 6 | 17:20 | 20 |
| კრივბასი | 14 | 4 | 6 | 4 | 12:13 | 18 |
| არსენალი | 14 | 4 | 5 | 5 | 15:19 | 17 |
| ვორსკლა | 14 | 3 | 3 | 8 | 7:16 | 12 |
| მეტალურგი (ზ) | 14 | 1 | 8 | 5 | 9:17 | 11 |
| ობოლონი | 14 | 2 | 5 | 7 | 8:20 | 11 |
| ზაკარპატია | 13 | 2 | 4 | 7 | 9:16 | 10 |
| ტავრია | 13 | 2 | 3 | 8 | 10:17 | 9 |
| ბორისფენი | 14 | 0 | 7 | 7 | 6:17 | 7 |

## ავსტრია

### I დივიზიონი. XX ტური

ალტახი — რიდი 2:1; კაპფენბერგი — ლეობენი 1:0; კერნტენი — გრატკორნი 1:0; ლინცერი — აუსტრია (ლ) 3:3; ვიორგლი — უნტერზიბენბრიუნი 1:2

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა. XVI ტური

ბოლში — ბადენი 2:0; მეირინი — ლუცერნი 0:4; ბელინცონა — ვოლენი 2:1; კიასო — ლუგანო 2:0; კრინსი — ვილი 1:2; შო დე ფონი — ბულე 1:1; ვადუცი — ივერდონი 1:2; ვინტერთური — სიონი 0:1; იუვენტუსი — კონკორდია 2:2

## ბრაზილია

### სერია A. XLIII ტური

ბოტაფოგო — გუარანი 1:0; ფიგეირენსე — ატლ. მინეირო 2:1; კრუზეირო — ფლუმინენსე 2:3; სან პაულუ — ინტერნასიონალი 2:1; პარანა — გოიასი 2:1; პაისანდუ — სანტოსი 1:1; სან კაეტანო — კორინთიანსი 2:1; პონტე პრეტა — კრისიუმა 1:0; კურიტიბა — ვიტორია 5:1; პალმეირასი — ფლამენგო 1:2; გრემიო — ატლ. პარანენსე 3:3; ვასკუ და გამა — ჟუვენტუდე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლ. პარანენსე | 43 | 24 | 10 | 9 | 87:52 | 82 |
| სანტოსი | 43 | 24 | 8 | 11 | 93:56 | 80 |
| სან პაულუ | 43 | 23 | 9 | 11 | 73:39 | 78 |
| სან კაეტანო | 43 | 23 | 8 | 12 | 63:38 | 77 |
| პალმეირასი | 43 | 21 | 11 | 11 | 68:44 | 74 |
| გოიასი | 43 | 20 | 8 | 15 | 79:67 | 68 |
| ჟუვენტუდე | 43 | 19 | 10 | 14 | 58:63 | 67 |
| კორინთიანსი | 43 | 17 | 14 | 12 | 44:50 | 65 |
| პონტე პრეტა | 43 | 18 | 7 | 18 | 40:69 | 61 |
| ფიგეირენსე | 43 | 16 | 12 | 15 | 53:52 | 60 |
| ფლუმინენსე | 43 | 16 | 12 | 15 | 62:67 | 60 |
| ინტერნასიონალი | 43 | 17 | 7 | 19 | 60:57 | 58 |
| კურიტიბა | 43 | 14 | 15 | 14 | 49:45 | 57 |
| კრუზეირო | 43 | 15 | 8 | 20 | 63:73 | 53 |
| ვასკუ და გამა | 43 | 13 | 12 | 18 | 61:63 | 51 |
| პარანა | 43 | 14 | 9 | 20 | 49:69 | 51 |
| ბოტაფოგო | 43 | 11 | 17 | 15 | 60:67 | 50 |
| ფლამენგო | 43 | 12 | 13 | 18 | 44:50 | 49 |
| კრისიუმა | 43 | 13 | 10 | 20 | 55:70 | 49 |
| პაისანდუ | 43 | 12 | 13 | 18 | 50:73 | 49 |
| ვიტორია | 43 | 13 | 9 | 21 | 66:77 | 48 |
| ატლ. მინეირო | 43 | 10 | 16 | 17 | 56:66 | 46 |
| გუარანი | 43 | 9 | 16 | 18 | 37:50 | 43 |
| გრემიო | 43 | 9 | 12 | 22 | 59:72 | 39 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი. XII ტური

ამადორა — ვარზიმი 2:1; ფეირენსე — მაია 2:1; ფერეირა — ლეიშოეში 2:1; ავეში — შავეში 2:0; ოვარენსე — ფელგეირაში 0:3; ოლიანენსე — ალვერკა 3:0; გონდომარი — ესპინიუ 1:0; ნავალი — პორტიმონენსე 5:0. სანტა კლარა — მარკუ გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამადორა | 12 | 7 | 3 | 2 | 19:9 | 24 |
| მაია | 12 | 7 | 3 | 2 | 15:7 | 24 |
| ნავალი | 12 | 6 | 4 | 2 | 18:8 | 22 |
| ავეში | 12 | 7 | 0 | 5 | 18:10 | 21 |
| ოვაირენსე | 12 | 6 | 3 | 3 | 20:17 | 21 |
| ფერეირა | 12 | 5 | 5 | 2 | 16:11 | 20 |
| ოლიალენსე | 12 | 6 | 2 | 4 | 16:14 | 20 |
| ლეიშოეში | 12 | 5 | 3 | 4 | 15:12 | 18 |
| მარკუ | 12 | 4 | 6 | 2 | 16:15 | 18 |
| ფეირენსე | 12 | 4 | 2 | 6 | 12:19 | 14 |
| გონდომარი | 12 | 3 | 4 | 5 | 11:14 | 13 |
| ვარზიმი | 12 | 3 | 4 | 5 | 11:17 | 13 |
| ალვერკა | 12 | 4 | 1 | 7 | 6:12 | 13 |
| ფელგეირაში | 12 | 3 | 3 | 6 | 12:13 | 12 |
| პორტიმონენსე | 12 | 3 | 3 | 6 | 13:18 | 12 |
| ესპინიუ | 12 | 3 | 3 | 6 | 12:17 | 12 |
| სანტა კლარა | 12 | 3 | 2 | 7 | 12:19 | 11 |
| შავეში | 12 | 2 | 3 | 7 | 4:14 | 9 |

## მექსიკა

### აპერტურა. პლეი ოფი

### 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

პაჩუკა 1:1 *მონტერეი* (1:2)
ვერაკრუსი 1:1 *უნამი* (0:3)
ტოლუკა 3:4 *ატლანტე* (2:4)
ატლასი 3:3 *გვადალახარა* (1:0)


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 12 | ქრიუ-მილუოლი | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.5 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 575 | დამბარტონი-ალოა | 1.7 | 3.5 | 3.7 | 1.14 | 1.16 | 1.79 |
| 22:30 | 576 | ბერიკი-ფორფარი | 2.3 | 3.4 | 2.5 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 577 | კოუდენბითი-მონტროუზი | 2.35 | 3.4 | 2.4 | 1.38 | 1.18 | 1.4 |
| 22:45 | 578 | პიტერჰედი-სტენჰაუზმური | 1.3 | 4.5 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.81 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 311 | ფერენცვაროში-ბაზელი | 2.35 | 3.3 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 22:45 | 312 | ფეიენოორდი-შალკე | 2.15 | 3.1 | 3.2 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 22:45 | 313 | ბეშიქთაში-სტანდარდი | 1.55 | 3.6 | 5.5 | 1.08 | 1.2 | 2.17 |
| 22:45 | 314 | ბილბაო-სტიაუა | 1.45 | 3.6 | 7.0 | 1.03 | 1.2 | 2.37 |
| 22:45 | 315 | აუსტრია-ბრიუგე | 2.35 | 3.3 | 2.7 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 22:45 | 316 | სარაგოსა-დნიპრო | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| 22:45 | 317 | სპორტინგი-სოშო | 1.95 | 3.1 | 3.7 | 1.19 | 1.27 | 1.68 |
| 22:45 | 318 | პანიონიოსი-დინამო | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 319 | პარტიზანი-ვილიარეალი | 2.65 | 2.7 | 2.65 | 1.33 | 1.32 | 1.33 |
| 22:45 | 320 | ეგალეო-ლაციო | 3.3 | 3.4 | 1.9 | 1.67 | 1.2 | 1.21 |
| 22:45 | 321 | ალკმაარი-რეინჯერსი | 2.2 | 2.9 | 3.2 | 1.25 | 1.3 | 1.52 |
| 22:45 | 322 | ოსერი-ამიკა | 1.15 | 6.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.21 |
| 22:45 | 323 | დინამო-ჰერენვენი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 22:45 | 324 | ბევერენი-ბენფიკა | 5.5 | 3.6 | 1.55 | 2.17 | 1.2 | 1.08 |
| 22:45 | 325 | სევილია-აეკ | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| 22:45 | 326 | ალემანია-ზენიტი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| | | **ინგლისი. ლიგის თასი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 328 | ფულემი-ჩელსი | 4.65 | 3.6 | 1.65 | 2.02 | 1.21 | 1.13 |
| 22:45 | 329 | უოტფორდი-პორტსმუთი | 2.75 | 3.4 | 2.3 | 1.52 | 1.25 | 1.37 |
| | | **1 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 330 | მანჩესტერი-არსენალი | 1.85 | 3.4 | 3.8 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 22:45 | 331 | ტოტენჰემი-ლივერპული | 2.3 | 3.2 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.5 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 359 | ესბიერგი-რუსენბორგი | 2.6 | 3.4 | 2.3 | 1.47 | 1.22 | 1.37 |
| 20:00 | 360 | ტრომსიო-კოპენჰაგენი | 2.35 | 3.3 | 2.6 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| 20:00 | 361 | ოდენსე-ჰალმსტადი | 2.0 | 3.4 | 3.1 | 1.25 | 1.21 | 1.62 |
| 22:00 | 362 | ვოლერენგა-იურგორდენი | 1.5 | 3.7 | 5.7 | 1.06 | 1.18 | 2.24 |
| 22:00 | 363 | ბრიონდბიუ-გიოტებორგი | 1.5 | 3.7 | 5.7 | 1.06 | 1.18 | 2.24 |
| 22:30 | 364 | ბრანი-მალმიო | 1.85 | 3.4 | 3.6 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| | | **ინგლისი. Vans Trophy** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 349 | ჩესტერი-რექსემი | 2.45 | 3.2 | 2.5 | 1.38 | 1.23 | 1.4 |
| 22:45 | 350 | ჰერეფორდი-ბლეკპული | 2.8 | 3.2 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 22:45 | 351 | ოლდემი-ჰარტლპული | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 22:45 | 352 | მაკლსფილდი-ტრანმერი | 3.0 | 3.3 | 2.1 | 1.57 | 1.23 | 1.28 |
| 22:45 | 353 | სუინდონი-ბრისტოლი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 354 | ნორთჰემპტონი-საუთენდი | 1.9 | 3.4 | 3.3 | 1.21 | 1.2 | 1.67 |
| 22:45 | 355 | როვერსი-უიკომბი | 2.0 | 3.4 | 3.1 | 1.25 | 1.21 | 1.62 |
| 22:45 | 356 | ლეიტონი-უოლსოლი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 371 | ბრიუნესი-ლულეო | 1.95 | 4.3 | 2.6 | 1.34 | 1.11 | 1.62 |
| 21:00 | 372 | მალმიო-ტიმრე | 2.55 | 4.2 | 2.0 | 1.58 | 1.12 | 1.35 |
| 21:00 | 373 | მოდო-ჰვ 71 | 1.7 | 4.4 | 3.2 | 1.22 | 1.11 | 1.85 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 387 | ჰამეენლინა-ესპოო | 1.55 | 4.5 | 3.8 | 1.15 | 1.1 | 2.06 |
| 19:30 | 388 | ესეტი-ტაპარა | 1.9 | 4.3 | 2.7 | 1.31 | 1.11 | 1.65 |
| 19:30 | 389 | ილვესი-კერპეტი | 2.55 | 4.2 | 1.95 | 1.58 | 1.1 | 1.33 |
| 19:30 | 390 | ლუკო-სეიპა | 1.55 | 4.4 | 3.6 | 1.14 | 1.08 | 1.98 |
| 19:30 | 391 | ტურკუ-პელიკანსი | 1.3 | 5.3 | 6.0 | 1.04 | 1.06 | 2.81 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 406 | პლზენი-ლიტვინოვი | 2.0 | 4.2 | 2.5 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 19:00 | 407 | ლიბერეცი-სპარტა | 2.5 | 4.2 | 2.0 | 1.56 | 1.11 | 1.35 |
| 19:00 | 408 | ვიტკოვიცე-კლადნო | 1.9 | 4.0 | 2.6 | 1.28 | 1.09 | 1.57 |
| 19:00 | 409 | ვსეტინი-ზნოიმო | 2.2 | 4.0 | 2.3 | 1.41 | 1.12 | 1.46 |
| 19:30 | 410 | კარლოვი ვარი-ტრჟინეცი | 2.0 | 4.2 | 2.5 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 19:30 | 411 | დუკლა-სლავია | 3.6 | 4.4 | 1.55 | 1.98 | 1.08 | 1.14 |
| 20:00 | 412 | პარდუბიცე-ზლინი | 2.0 | 4.0 | 2.5 | 1.33 | 1.11 | 1.53 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 427 | მიკულაში-ზვოლენი | 2.65 | 4.0 | 2.0 | 1.59 | 1.13 | 1.33 |
| 19:00 | 428 | პოპრადი-კოშიცე | 2.5 | 4.1 | 2.0 | 1.55 | 1.11 | 1.34 |
| 19:00 | 429 | სკალიცა-ნიტრა | 2.3 | 4.0 | 2.2 | 1.46 | 1.12 | 1.41 |
| 19:00 | 430 | სლოვანი-დუბნიცა | 1.1 | 8.0 | 9.0 | 1.0 | 1.0 | 4.23 |
| 19:00 | 431 | ტრენჩინი-ჟილინა | 1.4 | 4.3 | 4.9 | 1.05 | 1.08 | 2.29 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 442 | ჰანოვერი-იზერლონი | 2.0 | 4.3 | 2.4 | 1.36 | 1.09 | 1.54 |
| 21:30 | 443 | კიოლნი-ვოლფსბურგი | 1.4 | 4.6 | 4.5 | 1.07 | 1.06 | 2.27 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **30 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:45 | 456 | ფრიბურგი-ამბრი | 2.15 | 4.3 | 2.3 | 1.43 | 1.11 | 1.49 |
| 21:45 | 457 | კლოტენი-ლანგნაუ | 1.95 | 4.5 | 2.4 | 1.36 | 1.07 | 1.56 |
| 21:45 | 458 | ცუგი-დავოსი | 2.2 | 4.2 | 2.3 | 1.44 | 1.12 | 1.48 |
| 21:45 | 459 | რაპერსვილი-ბერნი | 1.85 | 4.4 | 2.8 | 1.3 | 1.11 | 1.71 |
| 21:45 | 460 | ციურიხი-ლუგანო | 2.2 | 4.2 | 2.3 | 1.44 | 1.12 | 1.48 |
| 22:00 | 461 | ლოზანა-სერვეტი | 2.2 | 4.2 | 2.3 | 1.44 | 1.12 | 1.48 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით

CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 11311 ფერენცვაროში-ბაზელი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11312 ფეიენოორდი-შალკე | 3.2 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11313 ბეშიქთაში-სტანდარდი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11314 ბილბაო-სტიაუა | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11315 აუსტრია-ბრიუგე | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11316 სარაგოსა-დნიპრო | 1.9 | 12.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11317 სპორტინგი-სოშო | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11318 პანიონიოსი-დინამო | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| **2 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 11319 პარტიზანი-ვილიარეალი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11320 ეგალეო-ლაციო | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.7 |
| 11321 ალკმაარი-რეინჯერსი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11322 ოსერი-ამიკა | 2.0 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.8 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11323 დინამო-ჰერენვენი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11324 ბევერენი-ბენფიკა | 8.0 | 10.0 | 20.0 | 9.0 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11325 სევილია-აეკ | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11326 ალემანია-ზენიტი | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.4 |

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |



# მანუჩარმა ბოსნიას დორიჩარი გაუზრდა

**როგორც იქნა**, მანუჩარ მარკოიშვილის დროც დადგა. სლოვენიური „ოლიმპიას“ ქართველმა ფრთამ ლიუბლიანურ გუნდში ერთბაშად ორი პირადი რეკორდი დამყარა. აქამდე მას „ოლიმპიაში“ არასდროს ეთამაშა ამდენი ხნით და 10 ქულაც ვერ ჩაეგდო, ამ უქმეებზე კი ადრიატიკის ლიგაში „ბოსნას“ წინააღმდეგ თავი ისახელა.

ამ ლიგის ლიდერი „ოლიმპია“ ბოსნიის სიამაყეს ხვდებოდა და საკმაოდ პრინციპულ მატჩში ქართველი ახალგაზრდის დიდი ხნით თამაშს არავინ ელოდა. მარკოიშვილი შეცვლაზე შედიოდა ხოლმე და ასეთი დონის მატჩებში მოედანზე 20 წუთზე მეტი არასდროს გაუტარებია, ახლა კი 32 წუთი ითამაშა, ხოლო „ოლიმპიამ“ დიდი გაჭირვებით, 78:76 დაამარცხა მეტოქე.

„ოლიმპიას“ მწვრთნელი მარკოიშვილს ასეთ დაძაბულ მატჩში ბოლომდე რომ მიენდო, მის კარგ თამაშზე მიუთითებს. „მანოს“ თვალისმომჭრელი სტატისტიკა არ ჰქონია, მაგრამ სასარგებლო რომ იყო, ამას ფიცი-მტკიცი არ სჭირდება. საბოლოოდ მის ანგარიშზე 10 ქულა და 5 მოხსნა დაგროვდა.

ასევე პირველად მოხდა, რომ მარკოიშვილმა „ოლიმპიაში“ ვლადიმერ ბოისაზე მეტი ითამაშა. ლიუბლიანელთა რუსთავში გაზრდილმა კაპიტანმა 26 წუთი გაატარა მოედანზე, თუმც ეს დრო მისთვის საკმარისი აღმოჩნდა, თავისიანთაგან ბომბარდირი გამხდარიყო. ვოვამ 17 ქულა მიითვალა და მარკოიშვილთან ერთად ლიუბლიანელთა გამარჯვების მთავარი შემოქმედი გახდა.

„ბოსნას“ ძლევამდე ორი დღით ადრე „ოლიმპიას“ ჩვენიანმა ლეგიონერებმა ევროლიგაშიც ისახელეს თავი, თუმც „სიენას“ დამარცხებაში მათი წილი ოდნავ მოკრძალებული იყო.

სლოვენიური ამბები დავით უგრეხელიძის ნამოქმედარით დავასრულოთ, რომლის „პივოვარნამაც“ ადრიატიკის ლიგაში ხორვატიული „შიბენიკი“ დააჩოქა. „მელუდეებმა“ ერთი ხელის გაქნევით მოიგეს, რაშიც ქართველი ლეგიონერი მხოლოდ 10 წუთით დაიხმარეს. უგრეხელიძე აგრძელებს თავის ზიგზაგოვან სლოვენიურ კარიერას და ხან ყველას თვალებს აჭყეტინებს თავის კარგი თამაშით და ხან მეტად შეუხედავად ირჯება. „უგრემ“ „შიბენიკს“ ორიდან ორი ორქულიანი ჩაუგდო, მაგრამ ათ წუთზე მეტ ხანს რომ არ ათამაშეს, თავის თავს უნდა დააბრალოს.

ციცქნა სლავური ქვეყნიდან ზორბა რუსეთში განავინაცვლოთ, სადაც ორი რადიკალურად განსხვავებული ამბავია ქართველებისთვის. ერთის მხრივ მისასალმებელია ქართული პასპორტის მქონე შემონდ უილიამსის უნიკსური წარმატებანი, თუმც ამავდროულად ვერაფრით ვერ შევეგუებით უილიამსის ამპლუის „ქართველი იმედის“, გიორგი ცინცაძის „სამარის“ განაცხადიდან გაუჩინარებას. ცინცაძე ამ ბოლო ხანს გულაყრილი იყო სამარელებზე, რიგიანად ვთამაშობ და მაინც სკამზე ვზივარო. ახლა კი განაცხადიდანაც გაქრა, „სამარამ“ კი შინ დამატებით დროში წააგო პრესტიჟმორყეულ „ურალ გრეიტთან“.

უილიამსს მივუბრუნდეთ და აღვნიშნოთ, რომ ეს ზანგი გამთამაშებელი დღითი დღე ერგება რუსულ კალათბურთს, აკი სუპერლიგის ლიდერთაგანი „უნიკსის“ პირველი კაციც გამხდარა — თითქმის ყოველ მატჩში ბომბარდირია.

„დიჟონში“ კი ძველებური ქართული ამინდია ანუ ფილტვნატკენი ვახტანგ ნაცვლიშვილი ჯერაც არ ჩანს, ხოლო ვიქტორ სანიკიძე ერთ ადგილს ტკეპნის. სანიკიძე მატჩს არ ტოვებს, მაგრამ რად გინდა, დიჟონელთა ლიდერ როან ბარეტის გამოჯანმრთელების მერე მოზომილად ათამაშებენ — საფრანგეთში 5-10 წუთს, ევროთასზე კი ოდნავ მეტს. ამჯერად სანიკიძემ ფიბა-ევროლიგაზე ისრაელში „ნახარიას“ 7 ქულა ჩაუგდო, შიდაჩემპიონატში კი „კლერმონს“ 6 აძგერა. „დიჟონმა“ ორივე თამაში წააგო.

„ევროპელთა“ ფონზე ეგებ შეუფერებლად გამოჩნდეს, მაგრამ „აზერბაიჯანელი“ ზვიად ბაბიაშვილის წარმატებაზეც არ იქნება, არ ვთქვათ. მით უფრო, რომ მისი „გალა“ შმაგად ათამაშდა ფიბა-ევროპის თასზე და ორი კვირის წინ „ნიკოლაევთან“ ბაქოში დამარცხებულმა მშფოთვარე უკრაინაში იძია შური. „გალამ“ 108:104 დაამარცხა „ნიკოლაევი“ და ჯგუფიდან გასვლის ჩინებული შანსი გაუჩნდა. ქართველი 27 წუთში 16 ქულით შეეწია ბაქოელებს და 7 მოხსნაც გაჩარხა.

არ ვიცით, რამდენი ქულა ჩაუგდო ბაბიაშვილმა ერთ უხიაგ მეტოქეს აზერბაიჯანის ჩემპიონატში, თუმც ასიც რომ მოექუჩებინა, არც ის იქნება გასაკვირი. დიახ, „გალამ“ ამ უქმეებზე აზერბაიჯანის ჩემპიონატის რეკორდი გამოჭედა და ვიღაც დავრდომილ მეტოქეს 197:41(!) მოუგო. ეს ამბავი აზერბაიჯანში მოთამაშე ირაკლი ბერიშვილის ტყუპისცალმა დავითმა გუშინ გვითხრა, რომელმაც მატჩის „ასტრონომიული“ ანგარიში ზუსტად მოგვახსენა, „გალას“ მეტოქიტს სახელი კი ვერაფრით გაიხსენა, ან კი ღირს ასეთი სუსტი გუნდის სახელის ცოდნაო...

ლეგიონერთა ამბების მომიხილვა ერთი სასიამოვნო რეკორდით დავასრულოთ. კოჭმოშუშებული ზაზა ფაჩულია მოედანს მოუბრუნდა და მერე როგორ! ჩემპიონ „დეტროიტის“ წინააღმდეგ 31 წუთი ითამაშა და „მილუოკის“ გამარჯვებაში შეეხიდა. დავძინოთ, რომ ზაზას აქამდე ამდენ ხანს არასდროს უთამაშია ნბა-ს მოედნებზე.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა<br>ევროლიგა | ბოსნა<br>სიენა | შ<br>შ | 78:76<br>79:74 | 32<br>18 | 10<br>4 | 5<br>2 | 1<br>1 | 2<br>1 |
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა<br>ევროლიგა | ბოსნა<br>სიენა | შ<br>შ | 78:76<br>79:74 | 26<br>31 | 17<br>16 | 3<br>7 | 1<br>0 | 0<br>0 |
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | სუპერლიგა (რუსეთი)<br>ფიბა-ევროლიგა | ევრაზი<br>ცსკა (სოფია) | შ<br>შ | 102:84<br>98:67 | 33<br>35 | 23<br>18 | 4<br>3 | 11<br>6 | 0<br>0 |
| გიორგი ცინცაძე | სამარა | სუპერლიგა (რუსეთი) | ურალ-გრეიტი | შ | 92:96 დ.დ. | განაცხადში არ იყო | | | | |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | ფიბა-ევროლიგა<br>PRO A. საფრანგეთი | ნახარია<br>კლერმონი | ს<br>ს | 77:88<br>70:87 | 15<br>6 | 7<br>6 | 1<br>2 | 0<br>0 | 0<br>1 |
| გიორგი მდივანი | ეპინალი | PRO B. საფრანგეთი | ბოვე | ს | 69:71 | 7 | 2 | 1 | 1 | 1 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | შიბენიკი | შ | 92:65 | 10 | 4 | 1 | 0 | 0 |
| ზვიად ბაბიაშვილი | გალა | ფიბა-ევროპის თასი | ნიკოლაევი | ს | 108:104 | 27 | 16 | 7 | 0 | 1 |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | დეტროიტი | შ | 96:90 | 31 | 8 | 4 | 1 | 2 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | დენვერი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | ნიუ ჯერსი<br>სან ანტონიო<br>ჰიუსტონი | შ<br>შ<br>ს | 90:88<br>75:89<br>82:76 | არ უთამაშია<br>5<br>არ უთამაშია | <br>4 | <br>1 | <br>0 | <br>0 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 28 ნოემბერი —

**პორტლენდი 83:71 ნიუ ჯერსი**

პორტლენდი: რენდოლფი (23 ქულა, 15 მოხსნა), ანდერსონი (21), აბდურ-რაჰიმი (17 ქულა, 10 მოხსნა)

*სტეფანია განაცხადში არ იყო*

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (20), ბეკტი (15)

**ლეიკერსი 89:76 ნიუ ორლეანი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (20), ეტკინსი (17), ოდომი (14 ქულა, 14 მოხსნა)

ნიუ ორლეანი: არმსტრონგი (21), ვესტი (15)

**სიეტლი 103:95 ინდიანა**

სიეტლი: ლუისი (22), ალენი (19)

ინდიანა: ჯ. ჯონსი (27), ტინსლი (22), ჰარისონი (16)

**საკრამენტო 110:121 მინესოტა**

საკრამენტო: ვებერი (25 ქულა, 10 მოხსნა), ბიბი (22), სტოიაკოვიჩი (22), ჯექსონი (19)

მინესოტა: გარნეტი (28 ქულა, 16 მოხსნა), კასელი (25), გრიფინი (20)

**ტორონტო 109:114 ვაშინგტონი**

ძირითადი დრო 100:100

ტორონტო: როუზი (29), კარტერი (26)

ვაშინგტონი: ჰიუზი (33 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი), არენასი (27), ჰეივუდი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**მაიამი 106:104 ბოსტონი**

მაიამი: ვეიდი (25), ონილი (21 ქულა, 13 მოხსნა), დ. ჯონსი (16)

ბოსტონი: ლაფრენცი (21), პირსი (17), დევისი (16), პეიტონი (15)

**კლიპერსი 103:91 გოლდენ სტეიტი**

კლიპერსი: ბრენდი (25 ქულა, 13 მოხსნა), საიმონსი (22 ქულა, 10 მოხსნა), იარიჩი (16 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა)

გოლდენ სტეიტი: დანლივი (20), რიჩარდსონი(17), მერფი (17)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ იორკი | 6 | 6 | 50,0 |
| ფილადელფია | 6 | 7 | 46,2 |
| ტორონტო | 6 | 9 | 40,0 |
| ბოსტონი | 4 | 8 | 33,3 |
| ნიუ ჯერსი | 2 | 11 | 15,4 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 10 | 4 | 71,4 |
| კლივლენდი | 9 | 4 | 69,2 |
| დეტროიტი | 6 | 7 | 46,2 |
| მილუოკი | 4 | 7 | 36,4 |
| ჩიკაგო | 1 | 10 | 9,1 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 10 | 5 | 66,7 |
| ორლანდო | 8 | 4 | 66,7 |
| ვაშინგტონი | 7 | 5 | 58,3 |
| შარლოტი | 3 | 9 | 25,0 |
| ატლანტა | 2 | 11 | 15,4 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 11 | 3 | 78,6 |
| დალასი | 10 | 5 | 66,7 |
| ჰიუსტონი | 6 | 9 | 40,0 |
| მემფისი | 5 | 9 | 35,7 |
| ნიუ ორლეანი | 1 | 11 | 8,3 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 13 | 2 | 86,7 |
| მინესოტა | 8 | 5 | 61,5 |
| იუტა | 8 | 6 | 57,1 |
| პორტლენდი | 7 | 6 | 53,8 |
| დენვერი | 7 | 6 | 53,8 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 11 | 2 | 84,6 |
| საკრამენტო | 8 | 5 | 61,5 |
| ლეიკერსი | 8 | 6 | 57,1 |
| კლიპერსი | 8 | 6 | 57,1 |
| გოლდენ სტეიტი | 3 | 10 | 23,1 |



REUTERS

ტორონტოელი ვინს კარტერი ვაშინგტონის თაღში

## საქართველოს XV ჩემპიონატი

# ქუთაისი ქარიშხალში



ბადრი ქიძილაშვილის ფოტო

გორელმა გოჩა მშვიდობაძემ გუშინ გოლების მეორე ასეული გახსნა

### პირველი წრე. მეორე ტური
### 29 ნოემბერი. ასკ-ს დარბაზი

**ქარიშხალა 40:32 ქუთაისი**

ქარიშხალა: ქირია (გაიტანა 16 გოლი), საჯაია (9)
ქუთაისი: ბოყოჩაძე (14), კაცაძე (5)

**ხ/კ თბილისი 19:16 ჭაბუკები**

თბილისი: სამარლანიშვილი (11), გელაშვილი (4)
ჭაბუკები: მსხვილიძე (7), მელქოშვილი (4)

**სტუ-შევარდენი 48:40 საუ-მამული**

სტუ-შევარდენი: რუსია (18), ქობელაშვილი (10)
საუ-მამული: შათირიშვილი (11), ღლანიძე (11)

**თელავი 33:26 სამტრედია**

თელავი: გიორგელაშვილი (15), ჯიშკარიანი (7)
სამტრედია: ჯულაყიძე (7), ჯოჯუა (7)

**ბათუმი 29:24 გორი**

ბათუმი: ურუშაძე (10), ზ. მეხრიშვილი (6)
გორი: მშვიდობაძე (17), ქარქაშაძე (4)

**გუშინ,** პირველი წრის დასკვნით დღეს კიდევ ერთი ფიცხელი დაპირისპირება შედგა. ჩემპიონატის დაწყების წინ ვერავინ ივარაუდებდა, რომ წინა პირველობის ბრინჯაოს პრიზიორ „ქუთაისს“ პრობლემები შეექმნებოდა ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „ქარიშხალასთან“ შეხვედრაში. სწორედ ასე კი მოხდა. 18-20 წლის ბიჭებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს ბევრად გამოცდილ ქუთათურებს და ერთი შეხედვით, სენსაციური გამარჯვებაც მოიპოვეს.

სკოლელებმა უპირველესად მშვენივრად გაამაგრეს თავიანთი კარის მისადგომები. თითქმის ორმეტრიანმა ირაკლი სიგუამ, ლევან ბერძენიშვილმა და სხვებმაც საიმედოდ დაიცვეს ლაშა სიხარულიძის კარი მრისხანე ალექსანდრე ბოყოჩაძის შეტევებისაგან. თავად ლაშამაც არაერთი „მკვდარი“ ბურთი მოიგერია. იერიშისას კი შეუდარებელი იყო „რეაქტიული“ ირაკლი ქირია, რომელიც უშეცდომოდ იჭერდა შეტევაში „გაქცევის“ მომენტს და მეკარესთან პირისპირ გასულს ზედიზედ გაჰქონდა გოლები. მას მხარი აუბა სნაიპერმა მიხეილ საჯაიამაც და მეოცე წუთისთვის „ქარიშხალა“ შვიდი ბურთით დაწინაურდა — 15:8. შეხვედრის ბედიც პრაქტიკულად მაშინ გადაწყდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, „ქუთაისი“ დამწევი ველარ ჩანდა და საფინალო სასტვენმაც „ქარიშხალას“ რვაგოლიანი უპირატესობა დააფიქსირა.

მეორე ტურის ნამდვილი გმირები თელაველი ხელბურთელები არიან. საქართველოს 14-გზის ჩემპიონ „სტუ-შევარდენის“ მსგავსად, მათაც ხუთივე თამაში მოიგეს და უზარმაზარი სენსაციაც მოახდინეს. ჩემპიონებისთვის ამგვარი მაქსიმალური შედეგი ჩვეული ამბავია, დავით ქეშიკაშვილისა და მამუკა ჟორჟოლიანის ბიჭებისთვის კი არნახული მიღწევაა და „თელავი“ სატურნირო ცხრილში მესამე საფეხურამდე აღზევდა. თუმც დავიცადოთ ხვალამდე, როცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში გაიმართება ოთხი დღის წინ უშუქობის გამო ჩაშლილი „ქარიშხალა“ — „ჭაბუკების“ მატჩი.

ჩემპიონატის ნამდვილი გმირია 29 წლის გორელი გოჩა მშვიდობაძე. კაცი, რომელსაც ათი წელია ეროვნულ პირველობაში არ მიუღია მონაწილეობა, ისეთი ჟინით და შედეგიანობით უტევს მეტოქეთა კარს, რომ რვა თამაშში 101 გოლის გატანა შეძლო და თვით ალეკო ბოყოჩაძეც კი ჩამოაქვეითა მთავარმეგოლეობიდან.

**გია ახალაძე**

**მეგოლეები**

| | | |
|---|---|---|
| გოჩა მშვიდობაძე | გორი | 101 |
| ალექსანდრე ბოყოჩაძე | ქუთაისი | 87 |
| ირაკლი ქირია | ქარიშხალა | 75 |
| ზურაბ ურუშაძე | ბათუმი | 74 |
| გიორგი კობახიძე | საუ-მამული | 70 |
| ვლადიმერ რუსია | სტუ-შევარდენი | 70 |
| ალიკ გიორგელაშვილი | თელავი | 67 |
| მერაბ ჯოჯუა | სამტრედია | 65 |
| მიხეილ საჯაია | ქარიშხალა | 62 |
| ლევან გელაშვილი | თბილისი | 61 |

**ვითარება პირველი წრის შემდეგ**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 1 | 0 | 260:206 | 17 |
| სტუ-შევარდენი | 8 | 0 | 1 | 315:225 | 16 |
| თელავი | 6 | 0 | 3 | 251:222 | 12 |
| ქარიშხალა | 5 | 1 | 2 | 257:229 | 11 |
| ქუთაისი | 5 | 1 | 3 | 300:274 | 11 |
| საუ-მამული | 4 | 1 | 4 | 336:268 | 9 |
| ჭაბუკები | 3 | 0 | 5 | 189:230 | 6 |
| ბათუმი | 1 | 1 | 7 | 226:287 | 3 |
| სამტრედია | 1 | 1 | 7 | 216:308 | 3 |
| გორი | 0 | 0 | 9 | 193:294 | 0 |



*ძიუდოში 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი ახალი ხილია. პირველად შარშან ჩატარდა ერევანში და სულ რაღაც ცხრა ქვეყანა მოგროვდა. სპეციალისტებმაც უმალ დადებითი მხარე მოუძებნეს — ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებულ სპორტსმენებს ძირითად ნაკრებში მოსახვედრად დამატებითი შანსი მიეცემათო, თუმც წლეულს ისეთი ჩემპიონატი ჩატარდა, თავის მართლება აღარავის მოუწევს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ბორის ფიცხელანმა სლოვენიაში გადახალისებული შემადგენლობა იახლა და ბოლოდროინდელ წარმატებებთან შედარებით მოკრძალებული შედეგი აჩვენა. ჩვენმა შვიდეულმა თბილისში ორი ვერცხლი ჩამოიტანა, მწვრთნელს კი სამწყსოს ჭიდაობის შეფასება ვთხოვეთ*

# ორი ვერცხლი ორ ოქროში

## ბორის ფიცხელანი: მეტი შეგვეძლო

— ორი ვერცხლი შეიძლება არცთუ კარგი შედეგი იყოს, მაგრამ ბიჭების ჭიდაობით საერთო ჯამში მაინც კმაყოფილი დავრჩი. ტურნირის სიძლიერემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, არადა, გვეგონა, შარშანდელის მსგავსად, ახლაც რამდენიმე ქვეყანა გამოვიდოდა და ისინიც სუსტი შემადგენლობებით.

**— რამდენი ქვეყანა დაგხვდათ?**

— ოცდათვრამეტი ნაკრები, თან ისეთი ძიუდოისტებით დაკომპლექტებული, არათუ 23-წლამდელებში, დიდებშიც რომ ბევრი დაუმტკიცებიათ. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის არაერთი ჩემპიონ-პრიზიორი უმედლოდაც დარჩა. ჩვენ კი ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით ორი ფინალი ვიჭიდავეთ.

**— ყველაზე კმაყოფილი მედალოსნების ჭიდაობით დარჩით?**

— სულ ადვილად შეიძლებოდა, ორი ვერცხლის ნაცვლად ორი ოქრო აგვეღო. ვახტანგ ხოსიტაშვილი ფინალში დიდებში მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორ ბრიტანელს თითქმის ოთხი წუთი თანაბრად ეჭიდავა, ვიდრე ტრავმას მიიღებდა. უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ მერე მხარი იტკინა და ხელს საერთოდ ველარ ხმარობდა — მის ადგილზე ბევრი ბრძოლას დროზე ადრე შეწყვეტდა. ხვიჩა ხუციშვილმა კი ფინალი ასევე ბევრად გამოცდილ ფრანგთან გამოუცდელობის გამო წააგო. სამაგიეროდ, დამიმტკიცა, რომ მისთვის ტატამზე არავითარი ფსიქოლოგიური მომენტი არ არსებობს. ოდნავადაც არ ნერვიულობს და ყველა მეტოქესთან ისე ჭიდაობს, თითქოს ვარჯიშზე იყოს. თან იგი ჯერ 19 წლისაა და თავისზე ბევრით უფროსებს აჯობა.

**— დანარჩენებზე რას იტყვით?**

— სხვებმა რომ მედლები ვერ აილეს, პირველ რიგში უიღბლო კენჭისყრისა და ცუდი მსაჯობის ბრალია. თითქმის ყველას თავიდანვე უმთავრეს ფავორიტებთან მოუწია ჭიდაობა. მხოლოდ ხოსიტაშვილმა დაისვენა პირველ წრეში, მაგრამ მერე ისიც ისეთ ძიუდოისტებზე გავიდა, სხვანაირი კენჭისყრის შემთხვევაში ბოლო ეტაპებამდე რომ არ უნდა შეხვედროდა. ძალიან მომეწონა ლევან კობერიძე, რომელიც საზღვარგარეთულ ტურნირზე აქამდე ერთხელაც არ იყო ნამყოფი და მიუხედავად იმისა, რომ უმედლოდ დარჩა, ტურნირი ისე ჩაამთავრა, მეტოქეებისთვის ერთი კოკაც კი არ დაუთმია.

**— ყველაზე გამოცდილი მინდია ბოლქვაძისა და გიორგი ყიზილაშვილის უმედლოდ დარჩენა რისი ბრალია?**

— სიმართლე გითხრათ, მათგან ოქროებს ველოდი. ბოლქვაძე ორი მოგების მერე ფრანგი მოწინააღმდეგის ეშმაკობას ემსხვერპლა. მსაჯებმაც ფრანგის მხარე დაიჭირეს და მინდია საერთოდ მოხსნეს ტურნირიდან. არადა, ისეთი ეპიზოდი იყო, გაფრთხილებას მეტოქე უფრო იმსახურებდა. რაც შეეხება უმთავრეს ფავორიტ ყიზილაშვილს, მან გერმანელს პირველივე ბრძოლაში მოუგო და მერე შედარებით სუსტთან დამარცხდა. ამ ბრძოლებს შორის გიორგიმ სულ რაღაც თხუთმეტი წუთი დაისვენა და შეიძლება არც ეყო, მაგრამ მთავარი მიზეზი ალბათ მაინც ისაა, რომ სათანადოდ ვერ განეწყო.

**— 19-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე თავგამოჩენილი ზაზა კედელაშვილი და ლაშა გუჯეჯიანიც შეგნებულად დაასვენეთ?**

— მართალია მეგონა, რომ არცთუ მაღალი დონის ჩემპიონატის იქნებოდა და არჩევანიც შედარებით გამოუცდელებზე გავაკეთე, მაგრამ უკვე თავგამოჩენილი ბიჭების შეცვლას მეორე ახსნაც აქვს. ვცდილობ, შანსი ყველას მივცე. არ მინდა, ზედიზედ ერთმა სამი ტურნირი იჭიდაოს და ამით მეორემ გული აიცრუოს. თავის დროზე მსგავს სიტუაციაში მეც აღმოვჩენილვარ და არ მინდა, სხვასაც იგივე ვაგრძნობინო. გარდა ამისა, გუჯეჯიანს ტრავმაც აწუხებდა. დეკემბრის დასაწყისში დიდებში ევროპის აბსოლუტური პირველობა ტარდება უნგრეთში და მანამდე უნდა მოეშუშებინა, თუმც, მგონი, მაინც ვერ ასწრებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**






ბარერა და მორალესი ერთმანეთს გვემენ

# ბარერა მორალესის ბარიერია

## მორალესს კი მორალი წაუკითხეს

**დიდი** მუშტი-კრივი გაიმართა ლას-ვეგასში, სადაც ორმა მექსიკებმა ერთმანეთს სახე დაუჟეჟა. მარკო ანტონიო ბარერამ თვისტომი ერიკო მორალესი 12 რაუნდში ქულებით დაამარცხა. ამ ქულებშიც როგორი განსხვავება იყო, თავად განსაჯეთ. ერთმა მსაჯმა ფრე დააფიქსირა, ორმა კი ბარერას მინიმალური უპირატესობა (115:114) აღიარა. შესაბამისად, 30 წლის ბარერამ მჩატე წონაში (60 კილოგრამი) WBO-ს ჩემპიონობა წაართვა მორალესს და მესამე მექსიკელი გახდა, რომელმაც ამ ვერსიით სამ წონით კატეგორიაში იჩემპიონა. აქამდე ეს ხოსე ჩავესს და თავად მორალესს მოეხერხებინათ.

ბარერა — მორალესის კრივობა 2000 წლიდან იწყება, როდესაც ორივენი დასისხლიანებულები იდგნენ რინგზე და მსაჯებმა მორალესის უპირატესობა აჩვენეს. ორი წლის შემდეგ ბარერამ რევანში აიღო, ახლა კი ისევ აჯობა და თან დაიქადნა, მაგას მეოთხედაც სიამოვნებით შევხვდებიო. „შარშან მენი პაკიაოსთან რომ წავაგე, ყველამ წამშალა — მორჩა, ბარერას რინგზე აღარაფერი ესაქმებაო. ჩქარობდნენ, მე ზედმეტი ლაყაფი არ მიყვარს და ჩემს ძალას მუშტებით ვამტკიცებ“ — მარკო ანტონიომ ეს სიტყვები მორალესთან ნაბრძოლევს თქვა.

ამ ორ მექსიკელს შორის უფრო ენაჭარტალა მორალესია, რომელმაც ბარერას წაჰკბინა, ასჯერაც რომ წავაგო, მასსავით რინგზე ცხვირით არასოდეს დავვარდებიო. აქ მორალესმა თანამემამულის ფილიპინელ პაკიაოსთან მარცხი იგულისხმა.

მაინც როგორი იყო ლას ვეგასური ბარერა — მორალესის ბრძოლა? მარკო ანტონიომ მეორე რაუნდშივე ცხვირი გაუტეხა მეტოქეს, შემდეგაც უფრო მაღიანად იქნევდა მუშტებს, თუმც მე-11-12 რაუნდებში მორალესმა გამოიღვიძა და მეხვედრის შემობრუნებამდე ცოტაღა დააკლდა. ბოლოს მორალესმა ბარერას ხელი არ ჩამოართვა, ის კი არა, მამამისს ბოთლით წყალი შეასხა და მსაჯებზე გამწარებულმა დატოვა რინგი, თანაბარი ბრძოლა იყო და მაგათ წამაგებინესო...

მორალესს პროფესიულ კარიერაში 47 მოგება აქვს და ორად ორჯერ, თანაც ორჯერვე თავის მოსისხლე თვისტომთან დამარცხებულა. ბარერამ კი 58 გამარჯვება (აქედან 41 ნოკაუტით) მოაქუჩა და ოთხჯერ გავიდა რინგიდან გაწბილებული. მოკლედ, WBO-ს მჩატეწონოსანი ჩემპიონი შეიცვალა, ბარერა დიდ იშტაზე მოვიდა და როგორც უკვე გითხარით, მორალესის დამქაშებს შეუთვალა, კიდევ გამოუშვითო...

**ილია ნანობაშვილი**



# ყინული დაიძრა

## ნჰლ და ნჰლპა ალაპარაკდნენ




ბობ გუდენაუ დათმობებზე მიდის

**ძნელი** დასაჯერებელია, მაგრამ შესაძლოა სულ მალე ნჰლ-სა და ნჰლპას (მოთამაშეთა ასოციაცია) გაჭიანურებულ ცივ ომს ბოლო მოეღოს. ლამის სამთვიანი ბუტიაობის, ერთმანეთის დადანაშაულების და გაკრიტიკების შემდეგ კონფლიქტში მონაწილე მხარეები გონს მოეგნენ და მომავალზე დაფიქრდნენ.

ჯერჯერობით ლაპარაკი მხოლოდ ერთ მხარეზეა და თანაც ყველაფერი ეს გადმოცემით გახდა ცნობილი. ამრიგად, გაზეთ „ფილადელფია დეილი ნიუსში“ დაბეჭდილი ინფორმაციის თანახმად, მოთამაშეთა პროფკავშირმა პირველმა გადაწყვიტა რაიმე ზომების მიღება. სავარაუდოდ 6 დეკემბერს, როდესაც ასოციაციის აქტივისტთა კრება შედგება, ნჰლპა-ს ბოსი ბობ გუდენაუ თავის ახალ წინადადებას გამოაქვეყნებს. გადმოცემითო იმიტომ ვთქვით, რომ ასოციაციის ერთერთმა ხელმძღვანელმა ტედ საskinმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურა და კონკრეტული პასუხის მაგივრად განაცხადა, რომ ჯერჯერობით კრების თარიღიც კი არ არის ზუსტად ცნობილი.

სამაგიეროდ, ნჰლ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ბილ დეილიმ განაცხადა, რომ მისთვის პროფკავშირის გეგმები საიდუმლო არაა. „მე მსმენია, რომ ასოციაცია რაღაც წინადადებას ამზადებს და განსაზღვრულ ვადაში წარმოგვიდგენს“ — თქვა დეილიმ გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში.

რა კომენტარი შეიძლება გაკეთდეს ყოველივე ამის შესახებ? საიდუმლო არაა, რომ სწორედ პროფკავშირისაგან ელოდნენ პირველი ნაბიჯის გადადგმას, ვინაიდან, მცოდნეთა აზრით ამ კონფლიქტში უფრო მეტი ბრალი მაინც გუდანაუს და მის კომპანიას ეკუთვნოდა. კულუარებში უკვე ჭორაობენ იმაზე, რომ შესაძლოა, ნჰლპა ლიგის მიერ შემოთავაზებულ „ხელფასების ზღვარზეც“ კი დათანხმდეს, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა ისეთ მკაცრ ზღვარზე, რომელსაც ნჰლ სთავაზობდა — შეგახსენებთ ლაპარაკი თითოეული გუნდისთვის 31 მილიონ დოლარზე იყო.

გამორიცხული არ არის, რომ გუდენაუს სავარაუდო წინადადება არც თუ ისე მისაღები იქნება ლიგისთვის და მოსალოდნელი წინსვლის მაგივრად კვლავ მორიგ ურთიერთლანძღვა გავიგონოთ.

მითუმეტეს, რომ გასულ დღეებში გუდენაუმ უკვე გაიმაგრა პოზიციები და მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ასოციაცია იწყებს ეგრეთ წოდებულ სალოკაუტო გადახდებს, ანუ 30 ნოემბრიდან ყოველთვიურად ლიგაში მოთამაშე უკლებლივ ყველა ჰოკეისტი 5-10 ათასდოლარიან შემწეობას მიიღებს. ამის ხარჯზე პროფკავშირის ბოსი იმ დაბალი ხელფასების მქონე მოთამაშეებსაც კი გააჩუმებს, რომლებიც ბოლო ხანს დროდადრო აკრიტიკებდნენ თავის მეთაურს. მითუმეტეს, რომ თავად მოთამაშეების მიერ შექმნილი სარეზერვო ფონდი იმდენად დიდია, რომ ამ შემწეობის გადახდა პროფკავშირს აპრილამდე შეუძლია.

მოკლედ ნჰლ-ს მოყვარულებს ისღა დარჩენიათ, დაელოდონ 6 დეკემბერს და იმაზე ილოცონ, რომ „დეილი ნიუსის“ ეს სენსაციური ინფორმაცია სინამდვილე აღმოჩნდეს, და ეგებ იანვარში კვლავ ვიხილოთ ჰოკეის მსოფლიოში საუკეთესო ლიგის თამაშები.

**სამველ ლარიბიანი**



## სარგებლის ფორმულა ნომერ ერთი

# ჩადე და იხეირე




**ლეგენდარული** მეფორმულაერთეს მიხაელ შუმახერის ძმასა და თავად რიგიან მრბოლ რალფ შუმახერს საჭით ნაშოვნი დიდი ფულიდან ცოტაოდნის ბიზნესში დაბანდება განუზრახავს. საამამბოდ კი მას — არც მეტი, არც უფრო მეტი — პორნოიდუსტრია შეურჩევია! ამ დღეებში ცნობილი შეიქნა, რომ რალფი მილიონ დოლარს ჩადებს ევროპული პორნომრეწველობის მაგნატის ბეატა უჰსეს კომპანიაში. თავად ქალბატონი უჰსე უკვე სამი წლის გარდაცვლილი გახლავთ, მაგრამ მისი ღონიერი ინდუსტრია კვლავაც ისეთსავე ბარაქიან მოგებებს იძლევა, როგორც რომ მისი დაარსების დღიდან ანუ 1946 წლის შემდეგ. ჰოდა, უმცროსი შუმახერიც ამბობს, რომ მთელ ამ საქმეში მას სწორედ სარგებელი აინტერესებს და არა, ვთქვათ, ის ნაირფერი და ნაირზომის სექსპროდუქცია, რითაც ხსენებული კომპანია თავის მადლიერ მომხმარებელს ამარაგებს. ცნობილია, რომ რალფი ტოლმეწილედ შევა ფირმის სლოვენიურ ფილიალში.

საერთოდ კი „ბეატე უჰსე“ ავსტრიაში ბუდობს და — ბარემ აქვე გეტყვით — მარტო ბოლო ორი წლის განმავლობაში მისმა კაპიტალ-ბრუნვამ იქ შვიდი მილიონიდან თოთხმეტ მილიონ დოლარამდე იმატა. ამგვარი ტენდენცია კი რალფს მართლაც ჩინებულ მოგებას უქადის. ასე რომ, უახლოეს პერიოდში ტრასაზე თუ ვერ ივარგა, ბიზნესწარმატება ნაღდად გარანტირებული უნდა ჰქონდეს.



# რაც არ გერგება, სხვას შეერგება

**მძლეოსნობის** ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციამ, მოკლედ კი იააფ-მა ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ოქრო ჩამოართვა. მიზეზი დოპინგის გარდა სხვა რა უნდა ყოფილიყო. 4x400 მეტრზე ესტაფეტაში მონაწილე კელვინ ჰარისონს სისხლში მოდაფინილი ჯერ კიდევ 2004-ის ივნისში აღმოუჩინეს. ექსპერტთა უტყუარობა განმეორებითმა დოპინგ-ტესტმაც დაამტკიცა, მაგრამ მძლეოსანმა თავი იმართლა, აბა, მაჩვენეთ საბუთი, რომ მოდაფინილი აკრძალულ პრეპარატად ითვლებაო.

ჰარისონი ბრალმდებლებს არ ეთანხმებოდა და სადაც შეეძლო, თავის მართლებას ცდილობდა, თუმც მთავარი დაავიწყდა, ოფიციალური აპელაცია არ დაუწერია. ეგებ, ეს შეგნებულადაც გააკეთა, რადგან ბედს უკვე შეგუებული იყოო, იტყვით. იააფ-მა კი აგვისტოში ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიართვა და ოლიმპიურ მედალზე მეოცნებე კაცს ათენში მოხვედრის შანსიც მოუსპო.

ახლა ჰარისონის ეშმაკობით მისი ნაკრებიც დაზარალდა. თავის მართლებასაც არავინ ცდილობს. კელვინი ხომ ამ საქმეში ადრეც გამოუჭერიათ. ჯერ კიდევ 10 წლის წინ, ამერიკის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე სისხლში სტიმულატორ ფსევდოეფერინის აღმოჩენის გამო ამხილეს და როგორც დამწყებ, პერსპექტიულ სპორტსმენს სამთვიანი დისკვალიფიაცია აკმარეს.

2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონობა კი ფრანგებს გადაეცათ, ვერცხლი იამაიკელებისაა, ხოლო ბრინჯაოს მედლებს მაშინ უმედლოდ დარჩენილი ბაჰამის კუნძულელი მძლეოსნები ჩამოიკიდებენ.





REUTERS მოსკოვიდან

# მოსკოვის დიდი პრიზი

მოსკოვის დიდი პრიზი: ფიგურული სრიალის ყველაზე დიდ ქვეყანაში ამგვარ შეჯიბრს აბა ვინ გააცდენს? ირინა სლუცკაია მოკლე პროგრამაში ბზრიალებს, იტალიურ წყვილს კი დახეთ როგორი დასაწყისი მოუგონია თავისი ცეკვისთვის: ფედერიკა ფაიელა და მასიმო სკალი მიტკლისფერ რამეში გამოხვეულან და იქედან ამოზრდილან.



REUTERS შტუტგარტიდან

# ოქროები

შტუტგარტში, ტანვარჯიშის მსოფლიოს თასია და ხელ-ფეხის ამგვარი კოხტა პარარელურობა ეგებ იმასაც მოგვანიშნებდეს, რომ ჰოლანდიელმა იური ვან გელდენმაც და რუმინელმა ალექსანდრა ერემიამაც თავ-თავიანთ ამბავში ოქრო მოიგეს.



REUTERS შტუტგარტიდან

# მარშალი

იცით, ვინ იქნება სანტა კლაუსთა პარადის მარშალი ჰოლივუდში? მეჯიკ ჯონსონი. რაც ცხადია, მის ქალიშვილ ელიზასაც მეტად უხარია. საშობაო პარადი კი უკვე 73-ეტედ ტარდება.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ჰარი შინ

არგენტინიდან სასწრაფოდ გამოხმობილი პრინცი ჰარი შაბათს უკვე თვიქნემში იყო რაგბის სანაკრებო თამაშზე, რომელშიაც ავსტრალიამ ინგლისს 2 ქულით მოუგო. ჭორების მიხედვით, ჰარი არგენტინიდან იმიტომ გამოიხმეს, რომ იქ ვიღაც მის მოტაცებას გეგმავდა. ეს გოგო კი მიჯნური არ გეგონოთ, პრინცის მამიდაშვილი ზარა ფილიპსია.



REUTERS ლონდონიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge